პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 11 ნოემბერი, 1942 წ. № 267 (6583). ფასი 15 კაპ.

## საბჭოთა ზურგი ისე მტკიცე და ორგანიზებულია, როგორც არასოდეს არა ყოფილა

ომი უდიდესი გამოცდაა ყოველი სახელმწიფოსათვის. გამოცდაა მისი შეიარაღებული ძალებისა. გამოცდაა მათი ზურგისა.

გერმანელ ოკუპანტებთან ომის მსვლელობაში ჩვენს ზურგს სერიოზული გამოცდები ხვდა წილად. მტერმა მოახერხა დროებით დაეკავებინა ჩვენი ტერიტორიის ნაწილი. მაგრამ მან ვერ მოახერხა შეერყია ჩვენი ფრონტის ზურგი, და სოციალისტურმა სახელმწიფომ საკმაო თავისი ძალები ჰპოვა, რათა გადაელახა წამოჭრილი სიძნელეები. ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გიგანტურმა ორგანიზატორულმა მუშაობამ ომის განმავლობაში მშვიდობიანი მშენებლობის მხრივ უზრუნველჰყო ჩვენი ფრონტისათვის ზურგის განმტკიცება. ომის ცეცხლმა გამოაწრთო ჩვენი სახელმწიფო.

ჩვენი ქვეყანა ომობს და აშენებს. ზურგი ამაგრებს ფრონტს. მილიონობით საბჭოთა ადამიანები პატიოსნად და თავდადებით მუშაობენ ზურგში ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

6 ნოემბერს მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე გაკეთებულ ისტორიულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა შეაჯამა ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მიერ ამ უკანასკნელ წელს ზურგში გაწეული გრანდიოზული ორგანიზატორული მუშაობის შედეგები. ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოების მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობა ამ პერიოდში გამოიხატა ჩვენი მრეწველობის, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მრეწველობის ბაზების ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში გადატანით, მუშებისა და საწარმოთა მოწყობილობის ახალ ადგილებში ევაკუაციითა და მოწყობით, აღმოსავლეთში ნათესი ფართობის გადიდებითა და შემოდგომის ნათესის გაფართოებით, დასასრულ, ფრონტისათვის მომუშავე ჩვენი საწარმოების მუშაობის ძირიან-ფესვიანად გაუმჯობესებით და ზურგში, როგორც ქარხნებში, ისე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებით".

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ ეს იყო ყველა ჩვენი სამეურნეო და ადმინისტრატიული სახალხო კომისარიატების, მათ შორის ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტის დიდი მასშტაბის უძნელესი და ურთულესი ორგანიზატორული მუშაობა. ისტორიამ არ იცის მრეწველობის ასეთი უდიდესი მასშტაბებით ევაკუაცია, როგორიც მოკლე ვადაში იქნა განხორციელებული ჩვენს ქვეყანაში. მრავალი ასეული საწარმო გადატანილ იქნა მტრის მიერ დროებით დაკავებული ტერიტორიებიდან და ფრონტისპირა რაიონებიდან ათასობით კილომეტრზე ღრმა ზურგში.

თავხედი მტერი ვარაუდობდა ხელთ ეგდო ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები. მაგრამ ეს ვარაუდი დაამსხვრია ჩვენი ხალხის გმირულმა ღონისძიებებმა!

დასავლეთისა და სამხრეთის რაიონების საბჭოთა მრეწველობის ბაზები გადატანილია აღმოსავლეთში და წარმატებით მუშაობს იქ. ხარკოვის სატანკო ქარხნები, რომლებიც ამჟამად ურალშია, უფრო მეტ ტანკს იძლევიან, ვიდრე წინათ. კიევის კაბელის ქარხანა კაბელს ამზადებს საბჭოთა ახალმშენებლობათათვის, სტალინის სახელობის ნოვოკრამატორსკის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა მოწყობილობას უშვებს საბჭოთა მეტალურგიული ქარხნებისათვის. ურალში, ციმბირში, ვოლგისპირეთში, ყაზახეთში, შუა აზიაში მეორე ცხოვრება იწყეს ევაკუირებულმა სამხედრო და სამოქალაქო ქარხნებმა. დონბასის მეშახტეები ქვანახშირს იღებენ ყარაგანდისა და კუზბასის შახტებში, უკრაინის მელითონეები ენტუზიაზმით შრომობენ აღმოსავლეთის საწარმოებში და მთელ ძალ-ღონეს წითელი არმიის დახმარებას ანდომებენ.

ამჟამად ჩვენი სამხედრო მრეწველობა—საავიაციო, სატანკო, საჭურვლისა, საომარი მასალებისა—ისეთი რაოდენობით ამზადებს საბრძოლო ტექნიკას, რა რაოდენობითაც წინათ არასოდეს არ დაუმზადებია. წითელი არმია იღებს სულ უფრო და უფრო მეტ „კვ" და „ტ-34" ტანკს, „ილ", „იაკ", „ლაგ", და სხვა ტიპის თვითმფრინავებს, სხვადასხვა დანიშნულებისა და ყალიბის ზარბაზნებს, ნაღმსატყორცნებს, ტანკსაწინააღმდეგო თოფებს და სხვა საჭურველს. „ჩვენი სამხედრო ქარხნები და მათი მომიჯნავე საწარმოები პატიოსნად და წესიერად ამარაგებენ წითელ არმიას ქვემეხებით, ნაღმსატყორცნებით, თვითმფრინავებით, ტანკებით, ტყვიამფრქვევებით, შაშხანებით, საომარი მასალებით" (სტალინი).

ჰიტლერელი მტარვალები რომელთაც ფეხქვეშ გასთელეს უკრაინისა და ყუბანის ნაყოფიერი მინდვრები, ვარაუდობდნენ უპუროდ დაეტოვებინათ ჩვენი ქვეყანა. მაგრამ ჩვენმა საკოლმეურნეო წყობილებამ საკმაო თავისი ძალები ჰპოვა, რათა გადაელახა ომიანობის დროის სიძნელეები და წინ წაეწია სოფლის მეურნეობა ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებში, გაედიდებინა ნათესი ფართობები და გაედიდებინა საშემოდგომო ნათესი აღმოსავლეთში. წელს ჩვენს ქვეყანაში მოსავლის აღების საერთო ფართობი, დროებით ოკუპირებული რაიონების გამოკლებით, მნიშვნელოვნად გადიდდა. გადიდდა მარცვლეული კულტურების ფართობი, გადიდებულ იქნა ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, სხვადასხვა ტექნიკურ კულტურათა ნათესის ფართობი. „ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აგრეთვე პატიოსნად და წესიერად ამარაგებენ მოსახლეობასა და წითელ არმიას სურსათით, ხოლო ჩვენს მრეწველობას—ნედლეულით" (სტალინი).

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზატორულმა მუშაობამ, ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების უდიდესმა გმირობამ, მტრებისადმი მათმა სიძულვილმა, სამშობლოსადმი მათმა სიყვარულმა უზრუნველჰყვეს საბჭოთა ზურგის განმტკიცება. ჩვენს ქვეყანას ჯერ არასოდეს არა ჰქონია ისეთი მტკიცე და ორგანიზებული ზურგი, როგორიც ახლა აქვს.

ომის განმავლობაში, რთული ორგანიზატორული და აღმშენებლობითი მუშაობის შედეგად, გარდაიქმნენ თვით ზურგში მომუშავე ადამიანებიც. „ადამიანები უფრო მუყაითნი, ნაკლებ მოშვებულნი, უფრო დისციპლინიანნი გახდნენ, ისწავლეს ომიანობის შესაფერისად მუშაობა, იწყეს შეგნება თავიანთი მოვალეობისა სამშობლოს წინაშე და ფრონტზე მისი დამცველთა წინაშე — წითელი არმიის წინაშე" (სტალინი). სამშობლოს წინაშე მოვალეობის შეგნებამ წარმოშვა საბჭოთა ადამიანების საბრძოლო დევიზი: რაკი ფრონტს ესაჭიროება, გავაკეთებთ! ბევრი ადამიანი, მშვიდობიან დროს შეუმჩნეველი, ზოგჯერ მოშვებული, არაორგანიზებული, ახლა მუყაითი გახდა, დამკვრელი და სტახანოველი გახდა და სერიოზულ საწარმოო მიღწევებს გვიჩვენებს. მუშათა კლასის ახალი შევსება — ასიათასობით გუშინდელი დიასახლისი, მებრძოლთა და მეთაურთა ცოლები, ახალგაზრდა მუშები და მოზარდნი, საშუალო სკოლათა გუშინდელი მოწაფეები, რომელთაც ეს არის მუშაობა დაიწყეს ჩვენს მრეწველობაში და ტრანსპორტზე, განსაკუთრებით მოკლე ვადებში იძენენ კვალიფიკაციას, ვინაიდან ისინი უდიდესი გულმოდგინებით შრომობენ, შეგნებული აქვთ რა თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

ამხანაგ სტალინის მიერ ჩვენი ზურგის მუშაკებისათვის მიცემული მაღალი შეფასება ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის აღაფრთოვანებს მათ. მუშებს, გლეხებსა, ინტელიგენციას შეგნებული აქვთ, რომ ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების გადაწყვეტა, — მოსპობა ჰიტლერული სახელმწიფოსი და მის სულისჩამდგმელებისა, მოსპობა ჰიტლერული არმიისა და მის ხელმძღვანელებისა, დანგრევა საზიზღარი „ახალი წესრიგისა ევროპაში" და მის მშენებელთა დასჯა, კაცობრიობის საზიზღარ მტრებზე—გერმანელ ფაშისტ იმპერიალისტებზე გამარჯვების მიღწევა,—მოითხოვს საბჭოთა ხალხის მთელი ძალების კიდევ უფრო მეტ მობილიზებას, ჩვენი ზურგის კიდევ უფრო მეტ განმტკიცებას.

ამხანაგ სტალინის მოხსენებამ ახალი შრომითი აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში. კუზბასში სამთამადნო ოსტატის ამხ. როგატიხის ცვლის მეშახტეებმა, რომელთაც რადიოთი მოისმინეს ამხანაგ სტალინის მოხსენება, უმაგალითო ენერგიით იმუშავეს და იმდენი ქვანახშირი მოანგრიეს, რამდენიც სამ დღეს უნდა ამოეღოთ. სტალინის სახელობის კუზნეცკის მეტალურგიული ქარხნის პირველი ღუმელის მებრძმედეთა კოლექტივმა 8 ნოემბერს ბრძმედის მარგი მოცულობის გამოყენების ბრწყინვალე კოეფიციენტს—0,68 მიაღწია და დიდძალი თუჯი გამოუშვა გეგმის გადამეტებით. კიზელში 7 ნოემბერს ტრესტის ყველა შახტმა გადაჭარბებით შეასრულა ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო გეგმა. ნოვოსიბირსკის მრავალ ფაბრიკა-ქარხანაში ამხანაგ სტალინის მოწოდებით აღფრთოვანებული მუშები გმირული სტალინგრადის დახმარების ვახტზე დადგნენ.

დღეს მთელი ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში, ქარხნებსა და კოლმეურნეობებში, რკინიგზებსა და ახალმშენებლობებზე მუშაობის ტემპი და ცხოვრების რიტმი კიდევ უფრო აჩქარებული გახდა. საბჭოთა ადამიანები უფრო მეტად მომთხოვნელნი ხდებიან თავიანთი თავისა და თავიანთი ამხანაგების მიმართ, ვინაიდან ხვალ უფრო კარგად უნდა ვიმუშაოთ, ვიდრე დღეს.

ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ახალი რთული ამოცანების წინაშე დგანან. ზურგის მუშაკებმა ამჟამად უდიდესი ორგანიზატორული მუშაობა უნდა გასწიონ სამხედრო წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, ენერგეტიკული ბაზის აჩქარებული განვითარებისათვის, სათბობის ამოღებისა და ლითონის გამოდნობის გადიდებისათვის, ზამთრის პირობებში რკინიგზების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო მუყაითნი და კიდევ უფრო დისციპლინიანნი უნდა გახდნენ. სამოქალაქო მოვალეობის გრძნობას მოკლებული დოყლაპიებისა და დაუდევრების რაოდენობა ზურგში სულ უფრო და უფრო ნაკლები ხდება, ჩვენ ახლა ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ სავსებით აღმოიფხვრას მოშვებულობა და დოყლაპიობა, უდისციპლინობა და დაუდევრობა.

დისციპლინა და ორგანიზებულობა გამარჯვების დედაა როგორც ფრონტზე, ისე ზურგში.

ჩვენი საყვარელი ბელადისა და მხედართმთავრის დიდი სტალინის გამოსვლებით, — მოსკოვის საბჭოს სხდომაზე გაკეთებული მოხსენებით და თავდაცვის სახალხო კომისრის 7 ნოემბრის ბრძანებით, — აღფრთოვანებული საბჭოთა კავშირის ხალხები კიდევ უფრო განამტკიცებენ წითელი არმიის ზურგს და დაეხმარებიან თავიანთ შეიარაღებულ ძალებს გასწმინდონ მშობლიური მიწა-წყალი გერმანელი ოკუპანტებისაგან, იხსნან კაცობრიობა ჰიტლერული შავი ჭირისაგან.

„პრავდის" მოწინავე, 10/XI.

# საბჭოთა საქართველოს მშრომელები ახალი საბრძოლო და შრომითი საგმირო საქმეებით უპასუხებენ დიდი სტალინის მოხსენებასა და ბრძანებას

## კიროველები აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას

8 ნოემბერს, სამუშაო დამთავრების შემდეგ, კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელ ქარხანაში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, რომელიც გახსნა ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. გ. კაზაზიშვილმა.

ქარხნის დირექტორმა ამხ. ბ. სარიშვილმა მიტინგს გააცნო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის — ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე და თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ ი. სტალინის 7 ნოემბრის ბრძანება.

სიტყვით გამოვიდა № 12 მექანიკური საამქროს უფროსი ამხ. ვ. ხორინი.—დიდი ბელადის მოხსენებამ, — განაცხადა მან, — უფრო განამტკიცა რწმენა გერმანელ ფაშისტთა ურდოებზე ჩვენი საბოლოო გამარჯვებისა. ჩემი საამქრო, რომელმაც წლიური დავალება 10 თვეში შეასრულა, ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების გასაძლიერებლად კიდევ უფრო გაზრდის შრომის ნაყოფიერებას.

მიტინგზე ახალი ვალდებულებები აიღეს აგრეთვე ამწყობი საამქროს ზეინკალმა ამხ. ერზიცკიმ და სტახანოველმა ამხ. ელენე თურქიამ. მათ განაცხადეს, რომ დიდი ბელადის ისტორიული მოხსენების საპასუხოდ კიდევ უფრო გაზრდიან თავიანთ საწარმოო მაჩვენებლებს და მტკიცედ დაიცავენ მომჭირნეობის რეჟიმს.

მთლიანად ქარხანამ იკისრა ვალდებულება თვიური დავალება შეასრულოს ვადაზე ადრე და გასწიოს ძირითადი და დამხმარე მასალების მნიშვნელოვანი ეკონომია.

## ბელადის მოხსენებას ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშები, მუშა ქალები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენებას მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე.

8 ნოემბერს, მუშაობის დამთავრების შემდეგ ფაბრიკის საამქროებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, მიძღვნილი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის — ამხანაგ სტალინის მოხსენებისადმი.

პირველი და მეორე შემკვრავი კორპუსების გაერთიანებულ მიტინგზე ამხანაგ სტალინის მოხსენება წაიკითხა ამხ. ჩხოიანმა. მოხსენების გაცნობამ დამსწრეთა უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია. სტახანოველმა მუშამ ამხ. ბედოშვილმა განაცხადა: ამხანაგ სტალინის მოხსენებამ უსაზღვროდ აღმაფრთოვანა, კიდევ უფრო განმიმტკიცა ჩვენი გამარჯვების იმედი; ამხანაგმა სტალინმა ამოცანად დაგვისახა: მოვსპოთ ჰიტლერული სახელმწიფო და მისი სულისჩამდგმელნი, მოვსპოთ ჰიტლერული არმია და მისი ხელმძღვანელები და დავანგრიოთ საზიზღარი „ახალი წესრიგი ევროპაში" და დავსაჯოთ მისი მშენებლები. ამ ამოცანების შესრულებისათვის თავდადებულად უნდა ვიმუშაოთ და ჩვენი შრომით დავეხმაროთ წითელ არმიას საბჭოთა მიწა-წყლის გაწმენდაში ჰიტლერული სიბილწისაგან. ბელადის მოწოდების საპასუხოდ ვალდებულებას ვიღებ ყოველთვიური გეგმა 250 პროცენტით შევასრულო, გავაუმჯობესო პროდუქციის ხარისხი და კვალიფიკაციის ამაღლებაში დავეხმარო ახალგაზრდა მუშებს. ასეთივე კონკრეტული ვალდებულებები აიღეს მიტინგზე სიტყვებით გამოსულმა სტახანოველმა ლოპუშკოვამ და სხვებმა.

პირველი და მეორე კორპუსების კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს სპეცდავალების თვიური გეგმა შეასრულონ 102 პროცენტით, მიაღწიონ ფურნიტურის ეკონომიას 4 პროცენტით, ნოემბერში დოპელის მანქანაზე მუშაობა შეასწავლონ 4 ახალგაზრდა მუშას, სამთო ფეხსაცმლის გამზადების დავალება შეასრულონ 25 ნოემბრამდე.

ლ. ჯავახაძე

## გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება

მაუდის ფაბრიკის პირველი ცვლის მუშა-მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკოსები უკლებლივ შეიკრიბნენ მიტინგზე. კამვოლური საამქროს უფროსმა ამხ. ნოვიკმა დამსწრეთ გააცნო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის — ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე.

ბელადის ბრძნულმა მოხსენებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მაუდის ფაბრიკის მუშებში. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ფაბრიკის მოწინავე ადამიანები, ზურგის სახელოვანი მებრძოლები. ისინი ლაპარაკობდნენ ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების უდიდეს მნიშვნელობაზე, რომელიც მას აქვს მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, მთელი მოწინავე პროგრესიული კაცობრიობისათვის.

მაუდის საამქროს ინსტრუქტორმა, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ს. მიქაბერიძემ თავის სიტყვაში განაცხადა: დიდი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებას შრომითი მამაცობით უნდა ვუპასუხოთ, კიდევ უფრო უკეთ უნდა ვიმუშაოთ. პირადად მე ვიღებ ვალდებულებას საუკეთესოდ და სასწრაფოდ შევასწავლო ხელობა ფაბრიკაში ახლად მოსულ მუშა ქალებს, რომ მათ მალე შესძლონ ფრონტზე წასულ მამაკაცთა შეცვლა.

ქარხნის სტახანოველმა მქსოველმა ამხ. ჩერნოვამ, რომელიც უკვე დიდი ხანია ფაბრიკაში მუშაობს, ბელადის მოხსენების საპასუხოდ აიღო ვალდებულება მოკლე ვადაში აამაღლოს თავისი კვალიფიკაცია, გახდეს ქვეოსტატი და ამით უფრო მეტი დახმარება გაუწიოს ფრონტს მტრის განადგურებაში.

ფაბრიკის კოლექტივმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: ჩვენი დიდი მხედართმთავრის — ამხანაგ სტალინის მოხსენებით აღფრთოვანებულნი, მზად ვართ უფრო და უფრო მეტი თავდადებით ვიმუშაოთ ფრონტისათვის, მტერზე გამარჯვებისათვის. მტკიცედ გვწამს, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, რომ ჩვენი სამშობლო გათავისუფლებული იქნება საზიზღარი ფაშისტი ოკუპანტებისაგან.

## ჰიტლერელი არამზადების განადგურება გარდუვალია

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში შემდგარმა ხალხმრავალმა მიტინგმა დაძაბული ყურადღებით მოისმინა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარისა და თავდაცვის სახალხო კომისრის — ამხანაგ ი. ბ. სტალინის 6 ნოემბრის მოხსენებისა და 7 ნოემბრის ბრძანების შინაარსი. მოხსენებისა და ბრძანების ტექსტი შეკრებილთ გააცნო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ამხ. პ. ცაგარეიშვილმა.

— დიდი მხედართმთავრის — ამხანაგ სტალინის მოხსენება გამარჯვების ღრმა რწმენას გვიძლიერებს, ახალი საგმირო საქმეებისათვის აღგვაფრთოვანებს. „ევროპაში ახალი წესრიგის" საზიზღარ მშენებელთა დამარცხება გარდუვალია, მაგრამ გამარჯვება თავისით არ მოდის. ჩვენ გაათკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ, გავზრდით შრომის ნაყოფიერებას, უფრო მეტსა და მეტ პროდუქციას მივაწვდით ფრონტს და ამით დავეხმარებით სახელოვან წითელ არმიას ჰიტლერელი არამზადების მოსპობაში, — განაცხადა მრავალდაზგოსანმა მქსოველმა ს. კორკოტაძემ და ამით ფაბრიკის მთელი კოლექტივის ნება-სურვილი გამოხატა. მან აიღო ვალდებულება წლიური გეგმა 15 დღით ადრე 120 პროცენტით შეასრულოს, არ გამოუშვას არც ერთი მეტრი წუნიანი ქსოვილი და დაეხმაროს ახალ მუშებს პროფესიის ათვისებაში.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სამღებრო-სააპრეტურო საამქროს უფროსი ვ. ჩიქოვანი, საქსოვი საამქროს ქვეოსტატი ა. ხახუტუროვი, ფაბრიკის მთავარი ინჟინერი გ. კარსელი და სხვები.

მიტინგის მიერ ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი დიდი ბელადის მოხსენებასა და ბრძანებას საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებით უპასუხებს, წლიური საწარმოო გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცემს 110 ათასი მანეთის პროდუქციას, წლის ბოლომდე მიაღწევს ნედლეულის ხარჯვის 5 პროცენტით შემცირებას, ელექტროენერგიის 15 პროცენტითა და სათბობი მასალის 5 პროცენტით ეკონომიას.

## ბელადის მოხსენების პასუხად

დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა საქენერგოს ქსელების პირველი რაიონის, კავშირგაბმულობის სამსახურის, ენერგოგასაღების მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგი, მიძღვნილი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის — ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენებისადმი 1942 წლის 6 ნოემბერს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის გამო.

მიტინგის მონაწილეებს ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ბრძანების ტექსტი გააცნო ამხ. ვ. ბარბაქაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ კავშირგაბმულობის სამსახურის პარტორგი ამხ. წიკლაური, ენერგოგასაღების მთავარი ინჟინერი ამხ. ანდრონიკაშვილი და საქენერგოს ქსელების პირველი რაიონის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. მესოედი. მათ განაცხადეს, რომ დიდი სტალინის ისტორიული მოხსენება ახალ ძალებს მატებს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში და გვაძლევს გენიალურ ანალიზს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე საომარი მდგომარეობისას უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია. საქენერგოს ქსელების პირველი რაიონის, კავშირგაბმულობის სამსახურის, ენერგოგასაღების მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ამხანაგ სტალინის მოხსენების პასუხად იკისრეს მთელი რიგი ახალი დამატებითი ვალდებულებანი. მათ პირობა დასდეს, რომ ამ ვალდებულებათა შესრულებით დაეხმარებიან გმირ წითელ არმიას ჰიტლერელ ავაზაკთა სრულ განადგურებაში.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ფრონტების, ფლოტების, არმიებისა და ფლოტილიების სარდლებისათვის, კორპუსების, დივიზიების, ბრიგადებისა და პოლკების მეთაურებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით და სამკერდე ნიშნებით დაჯილდოების უფლების მინიჭების შესახებ

1. მიენიჭოთ უფლება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დააჯილდოონ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით ის მებრძოლნი და მეთაურნი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე, დაჯილდოების შემდგომი დამტკიცებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ:

ა) ფრონტებისა და ფლოტების სარდლებს—რიგითი და უფროსთა შემადგენლობა პოლკის მეთაურამდე და მის შესაბამის პირებამდე ჩათვლით—**წითელი დროშის, სუვოროვის III ხარისხის, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის I და II ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით**, მედლებით—**„მამაცობისათვის" და „საბრძოლო დამსახურებისათვის"**;

ბ) არმიებისა და ფლოტილიების სარდლებს—რიგითი და უფროსთა შემადგენლობა ბატალიონის მეთაურამდე და მის შესაბამის პირებამდე ჩათვლით — **ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის I და II ხარისხის და წითელი ვარსკვლავის** ორდენებით, მედლებით—**„მამაცობისათვის" და „საბრძოლო დამსახურებისათვის"**;

გ) კორპუსების მეთაურებს — რიგითი და უფროსთა შემადგენლობა ასეულის მეთაურამდე და მის შესაბამის პირებამდე ჩათვლით—**სამამულო ომის I და II ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით**, მედლებით—**„მამაცობისათვის" და „საბრძოლო დამსახურებისათვის"**;

დ) დივიზიებისა და ბრიგადების მეთაურებს—რიგითი და უფროსთა შემადგენლობა ასეულის მეთაურამდე და მის შესაბამის პირებამდე ჩათვლით—**წითელი ვარსკვლავის ორდენით** და მედლებით—**„მამაცობისათვის" და „საბრძოლო დამსახურებისათვის"**.

2. მიენიჭოთ პოლკების მეთაურებს უფლება დააჯილდოონ რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა მედლებით—**„მამაცობისათვის" და „საბრძოლო დამსახურებისათვის"**, აგრეთვე სამკერდე ნიშნებით — „სნაიპერი", „წარჩინებული მეტყვიამფრქვევე", „წარჩინებული ნაღმმტყორცნელი", „წარჩინებული არტილერისტი", „წარჩინებული ტანკისტი", „წარჩინებული მენაღმე", „წარჩინებული მესანგრე".

3. დაწესდეს, რომ ალექსანდრე ნეველის ორდენით, ორდენის სტატუტის III მუხლის დამატებად, ჯილდოვდებიან დივიზიებისა და ბრიგადების მეთაურებიც.

4. სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის უფროსთა და რიგითი შემადგენლობისათვის, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან საბრძოლო წარჩინებისათვის, სწარმოებდეს უშუალოდ იმ ნაწილებში, სადაც დაჯილდოებულნი მსახურობენ.

დაწესდეს, რომ დაჯილდოებულთ სსრ კავშირის ორდენები და მედლები შეიძლება გადასცენ მოქმედ არმიაში ფრონტების, ფლოტების, არმიების და ფლოტილიების სარდლებმა და სამხედრო საბჭოების წევრებმა, ფრონტების სამმართველოთა უფროსებმა (სარდლების დავალებით), კორპუსების, დივიზიებისა და ბრიგადების მეთაურებმა, ესკადრების სარდლებმა და ბრიგადებისა და ხომალდების მეთაურებმა, პოლკების მეთაურებმა.

5. ამის შესაბამისად ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 18 აგვისტოს და 22 ოქტომბრის, 1942 წლის 6 მარტის, 1 და 14 აპრილის ბრძანებულებანი—სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების უფლების ფრონტების, არმიების, ფლოტებისა და ფლოტილიების სამხედრო საბჭოებისათვის მინიჭებისა და მოქმედ არმიაში ორდენებისა და მედლების გადაცემის წესის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1942 წ. 10 ნოემბერი.

## თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში

8 ნოემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა და მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე თეატრის დირექტორმა ამხ. გ. კილაძემ წაიკითხა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე. თავდაცვის სახალხო კომისრის—ამხანაგ სტალინის 7 ნოემბრის ბრძანება მიტინგს წაუკითხა ორდენოსანმა დირიჟორმა შ. აზმაიფარაშვილმა.

სიტყვა წარმოსთქვა ორდენოსანმა რეჟისორმა ა. წუწუნავამ, რომელმაც ილაპარაკა ამხანაგ სტალინის მოხსენების დიდ ისტორიულ მნიშვნელობაზე. ბელადის მოხსენებამ კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა კავშირის ხალხების, მთელი პროგრესიული კაცობრიობის რწმენა, რომ ჰიტლერული გერმანიის განადგურება გარდუვალია.

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ორკესტრის მსახიობი ა. პევნი.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია.

## რუსთაველის თეატრში

8 ნოემბერს შესდგა რუსთაველის თეატრის მსახიობთა და მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, მიძღვნილი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენებისადმი მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე.

მიტინგი გახსნა რუსთაველის თეატრის პარტბიუროს მდივნის მოადგილემ ამხ. ა. აფხაიძემ. თეატრის დირექტორმა ამხ. პ. მურღულიამ მიტინგის მონაწილეთ წაუკითხა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ამხანაგ ი. სტალინის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის შესახებ. ორდენოსანმა მსახიობმა თ. ბაქრაძემ წაიკითხა თავდაცვის სახალხო კომისრის—ამხანაგ სტალინის 7 ნოემბრის ბრძანება.

სიტყვა წარმოსთქვა სსრკ სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ. მან აღნიშნა, რომ ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების შემდეგ ჩვენთვის კიდევ უფრო ნათელია, თუ რატომ არის გარდუვალი ჰიტლერული გერმანიის განადგურება. ბელადმა ჩვენ დაგვისახა სამოქმედო პროგრამა. ფიცსა ვდებთ, რომ ვიმუშავებთ კიდევ უფრო დაძაბულად, ფრონტულად, რათა ცხოვრებაში გავატაროთ ბელადის მიერ დასახული საბრძოლო პროგრამა. რუსთაველის თეატრის სცენას გამოვიყენებთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მედგრად [illegible]მას მხატვრული სიტყვა ჩვენს გმირ მებრძოლებზე, ჩვენი ხალხის დიად პატრიოტულ გრძნობებზე, ჩვენს უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებაზე სამშობლოსადმი, სტალინისადმი.

ამხ. ა. აფხაიძის სიტყვის შემდეგ მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დასახა ღონისძიებები რუსთაველის თეატრის შემდგომი მუშაობის გასაძლიერებლად.

## მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

მარჯანიშვილის სახ. თეატრში 8 ნოემბერს შესდგა მსახიობთა და მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, რომელიც გახსნა პარტბიუროს მდივანმა ამხ. მ. აბჟანდაძემ. თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ამხ. შ. ღამბაშიძემ დამსწრეთ წაუკითხა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის —ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე და თავდაცვის სახალხო კომისრის—ამხანაგ ი. სტალინის 7 ნოემბრის ბრძანება.

სიტყვები წარმოსთქვეს მსახიობებმა პ. კობახიძემ და შ. ჯაფარიძემ. მიტინგის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ მარჯანიშვილის თეატრის მუშაკნი ყოველთვის კეთილსინდისიერად შეასრულებენ საბჭოთა პატრიოტის წმიდა მოვალეობას.

თეატრის კოლექტივმა დაადგინა გეგმის გარეშე დადგას ერთი ახალი პიესა სამამულო ომის თემაზე, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავისათვის მოამზადოს ისტორიულ-პატრიოტული პიესა „დავით აღმაშენებელი". ნოემბერში დადგას სპექტაკლი „პარტიზანები", გამართოს წარმოდგენა წითელი არმიისათვის თბილი ტანსაცმლის შესაძენად, მოაწყოს კონცერტი თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად. თეატრმა ვალდებულება აიღო მოაწყოს ფოიეში სამამულო ომის გმირთა სურათების გამოფენა, ყოველთვიურად გაუმართოს საშეფო ჰოსპიტალს კონცერტი და მოაწყოს თეატრში შეხვედრა ჩვენი ქვეყნის გმირ დამცველებთან.

## ქუთაისის საწარმო-დაწესებულებებში

ქალაქ ქუთაისის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით და შრომითი აღმავლობით შეხვდნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის გამო. ქუთაისის საწარმო-დაწესებულებებში ჩატარდა მიტინგები, რომლებზედაც განიხილეს ამხანაგ სტალინის მოხსენება და ბრძანება.

ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატში მიტინგზე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ და ახალი ვალდებულებანი იკისრეს ძაფსალები საამქროს ბრიგადირმა ნანიკაშვილმა, სამდაზგოსანმა მქსოველმა გაიდინამ, ორასოვანმა ჯიხვაძემ და ბუდიუკმა.

მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანაში მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს ქარხნის დირექტორმა ძიმისტარაშვილმა, მთავარი საამქროს უფროსმა ფერაძემ, მოწინავე ბრიგადირმა ბოკერიამ.

ტყავფეხსაცმლის კომბინატის სადაკვეთო საამქროს სტახანოველმა მარდალეიშვილმა, რომელიც წინათ გეგმას ასორმოცდაათი პროცენტით ასრულებდა, სტალინის მოხსენებით აღფრთოვანებულმა, 8 ნოემბერს დღიური საწარმოო დავალება ორასზე მეტი პროცენტით შეასრულა, თედორაძემ—170 პროცენტით.

მიტინგებზე ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციებში ნათქვამია, რომ ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის ისტორიული მოხსენების საპასუხოდ საწარმოთა კოლექტივები კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას ახალი საწარმოო გამარჯვებების მოსაპოვებლად, იმუშავებენ უწუნოდ, უმკაცრეს ეკონომიას გასწევენ ნედლეულისა და დამხმარე მასალის ხარჯვაში, აამაღლებენ პროდუქციის ხარისხს, შეამცირებენ თვითღირებულებას და გადაჭრით გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას.

გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის" რედაქცია

## წლიურ გეგმას ვადამდე შეასრულებენ

**მახარაძე („კომუნისტის" საკ. კორ.).** მახარაძის აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკის მუშები გულდასმით გაეცნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ სტალინის მოხსენებას. მიტინგზე, რომელსაც სამასზე მეტი მუშა ესწრებოდა, სტახანოვური საამქროს უფროსმა ელეონორა დოლიძემ განაცხადა: ძაფსალები საამქრო წლიურ გეგმას ვადაზე ადრე შეასრულებს, წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვებს მილიონი მანეთის პროდუქციას, ნოემბერ-დეკემბერში დაზოგავს სამას კილოგრამ პარკს, ათი პროცენტით გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. ფაბრიკის დირექტორმა შალვა ვასაძემ მთელი კოლექტივის სახელით აიღო ვალდებულება—შეინარჩუნონ და განამტკიცონ საკავშირო სოცშეჯიბრებაში მიღწეული წარმატება, წლიური გეგმა ვადამდე შეასრულონ, შრომის ნაყოფიერება ნოემბერ-დეკემბერში 17 პროცენტით გაადიდონ, ხოლო თვითღირებულება 7 პროცენტით შეამცირონ. ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ მახარაძის ძაფსალები ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები ამხანაგ სტალინის 6 ნოემბრის ისტორიულ მოხსენებას და 7 ნოემბრის ბრძანებას.

ლ. ლოლაძე

## დიდი სტალინის მოხსენებამ ახალი ძალა შეგვმატა

**ჭიათურა („კომუნისტის" საკ. კორ.).** რაიონის მშრომელები გულდასმით ეცნობიან ამხანაგ სტალინის მოხსენებას. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ლენინის ორდენოსანმა ამწმენდმა პლატონ ბოყოველმა განაცხადა: სტალინის მოხსენება ახალ ძალებს გვმატებს, გვიძლიერებს ფაშისტ ყაჩაღებზე გამარჯვების მტკიცე რწმენას, გერმანელი ბარბაროსების გარდუვალი განადგურების რწმენას. ჩვენ მეტი თავდადებით ვიმუშავებთ, სამშობლოს მივცემთ იმდენ მარგანეცს, რამდენიც საჭიროა. ჭიათურელი მაღაროელები კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ ბელადის ისტორიულ მოხსენებას. ორჯონიკიძის სახელობის მაღარომ 8 ნოემბერს მარგანეცის ამოღების გეგმა 105 პროცენტით შეასრულა, სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა—107 პროცენტით. მოწინავე ინჟინრის სილოვან კალაძის უბანმა 104 პროცენტით შეასრულა გეგმა, ჭრელაშვილის, საყვარელიძის, სამხარაძის ცვლებმა—110-125 პროცენტით, სტახანოველებმა მიროტაძემ, ბოყოველმა, თაბაგარმა, ჯაჯანიძემ 8 და 9 ნოემბერს მარგანეცის გამოღების გეგმები 170-200 პროცენტით შეასრულეს.

პ. ჭიოკაძე

## საწარმოო აღმავლობა ტყიბულის მაღაროებში

**ტყიბული („კომუნისტის" კორ.).** ტყიბულის მაღაროელები უდიდესი ყურადღებით ეცნობიან დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებასა და ბრძანებას.

8 ნოემბერს, საღამოს, დასავლეთ შახტში გამართულ მიტინგზე ამხანაგ სტალინის მოხსენების გაცნობის შემდეგ მეშახტეებმა ახალი ვალდებულებები აიღეს. ამ დღეს ღამის ცვლაში მტვირთავმა მირონ ალიოხინმა, რომელმაც მიტინგზე იკისრა ნორმა 250 პროცენტით შეესრულებინა, სანგრებში იმუშავა და 17 ტონის ნაცვლად 50 ტონა ქვანახშირი მოანგრია. ახალი ვალდებულება აიღეს აგრეთვე მესამე უბნის მნგრეველმა ნიკოლოზ პროკოფენკომ, ცვლის უფროსმა არჩილ ლებანიძემ და სხვებმა.

— ბელადის მოხსენებით აღფრთოვანებული მზადა ვარ დღედაღამ ვანგრიო ქვანახშირი, დავეხმარო დედა-სამშობლოს, წითელ არმიას ვერაგი მტრის განადგურებაში,—სთქვა მიტინგზე ლენინის მაღაროს სტახანოველთა ბრიგადის ბრიგადირმა გრიგოლ კუპრაშვილმა.

სტალინის მაღაროში გამართულ მიტინგზე მედალოსანმა ალისტრახო ქათამაძემ, ესტატე ობოლაძემ, ალექსანდრე ცირეკიძემ, გიორგი მინდიაშვილმა, იპოლიტე ერაძემ გეგმების 150-200 პროცენტით შესრულება იკისრეს. ბელადის სახელობის მაღაროს 9 ნოემბრისათვის 8 დღის ქვანახშირის ამოღების გეგმა 102 პროცენტით ჰქონდა შესრულებული.

დ. საგელაშვილი

## დიპლომატიური წარმომადგენლების გაცვლა სსრ კავშირსა და კანადას შორის

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა შემდეგი დეპეშა მიიღო კანადის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ მაკენზი კინგისაგან:

„ჩემი სურვილია ვისარგებლო რუსეთში კანადის პირველი დესპანის დანიშვნით, რაც ამ რამდენიმე დღის წინათ მოხდა, რათა უაღრესად გულითადი მისალმებით მივმართო თქვენს აღმატებულებას. მე სიამოვნება მქონდა მივესალმებოდი ბ-ნ თევდორე გუსევს ოტავაში ჩამოსვლის შემდეგ. ბ-ნ გუსევის დანიშვნა საბჭოთა კავშირის პირველ დესპანად კანადაში და ბ-ნ დან უილგრესის დანიშვნას კანადის პირველ დესპანად სსრ კავშირში კანადის ხალხი ენტუზიაზმით შეეგება. როცა კანადის ახალი დესპანი სსრ კავშირში გამოემგზავრება თავისი ახალი პოსტის დასაკავებლად, იგი თან წამოიღებს რუსეთის მამაცი ხალხისადმი ყველა კანადელთა კეთილ სურვილებს. სიტყვით არ გამოითქმება კანადელთა უსაზღვრო აღტაცება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და ხალხების იმ მამაცობისა და გმირობის გამო, რასაც ისინი აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევაში იჩენენ. ჩვენ გვწამს, რომ დიპლომატიური წარმომადგენლების გაცვლას უაღრესად დიდი შედეგი ექნება ჩვენს ქვეყნებს შორის გულითადი ურთიერთგაგებისა და მჭიდრო თანამშრომლობის შემდგომს განვითარებაში. ჩვენ გვწამს, რომ ეს იქნება მხოლოდ ერთ-ერთი იმ მრავალ ნაბიჯთაგანი, რომლებიც მომავალში უზრუნველჰყოფენ ჩვენს საერთო ინტერესებს და უფრო მჭიდროდ დააკავშირებენ ჩვენს ორივე ქვეყანას საერთაშორისო მეგობრობითა და კეთილი ნებისყოფით.

ვ. ლ. მაკენზი კინგი".

## მისალმება საქართველოს ახალგაზრდობისადმი

მოსკოვიდან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„მხურვალედ მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდახუთი წლისთავს. გისურვებთ ახალ წარმატებებს ახალგაზრდობის მობილიზაციაში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ წმიდა ბრძოლისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს, — ამხანაგ სტალინის სამშობლოს ახალგაზრდობა ღირსი იქნება თავისი დიდი თანამემამულისა, და საბჭოთა კავშირის მთელ ახალგაზრდობასთან ერთად მთელ ძალ-ღონეს, მთელ ენერგიას მოახმარს საზიზღარი მტრის განადგურებას.

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხაილოვი".

(საქინფ).

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 10 ნოემბრის დილის ცნობა

9 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან სტალინგრადის რაიონში, ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით და ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ნაწილები თავიანთ პოზიციებს ამაგრებდნენ და მტრის მცირე ჯგუფების იერიშებს იგერიებდნენ. გერმანელთა ქვეითი ჯარის ასეულმა სცადა დაზვერვა ეწარმოებინა ერთ-ერთი ქარხნის უბანზე, მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა. ჩვენმა მებრძოლებმა თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჰფანტეს ჰიტლერელები. ქალაქის დაცვის ყველა უბანზე დახოცილია მტრის 100-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია 2 ქვემეხი, 11 ტყვიამფრქვევი, დანგრეულია 8 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ქვეგანაყოფმა ღამე გამოხდომა მოაწყო გერმანელთა ზურგში. საბჭოთა მებრძოლებმა უხმაუროდ მოხსნეს გუშაგები, შეიჭრნენ გერმანელთა ბლინდაჟებში და 36 ჰიტლერელი დახოცეს. სხვა უბანზე გვარდიელმა ნაღმსატყორცნელებმა ცეცხლი დაუშინეს თავმოყრილ მტერს, მოსპეს 8 ავტომანქანა და გაჟლიტეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ. ერთ უბანზე მტერმა ქვეითი ჯარისა და ტანკების ძალებით რამდენჯერმე მოიტანა იერიში ჩვენს პოზიციებზე. გერმანელთა იერიშები მოგერიებულია მათთვის დიდი ზარალის მიყენებით. ჩვენი არტილერიის ცეცხლით დაზიანებულია 2 ტანკი და მოსპობილია მტრის 2 ქვემეხი, 7 ტყვიამფრქვევი და 3 ნაღმსატყორცნი.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერმა დიდი ზარალის ფასად მოახერხა წყლის ზღუდე გადმოელახა. ჩვენმა ნაწილებმა კონტრიერიშით უკუაგდეს გერმანელები მდინარეს გაღმა, ამასთან დახოცეს 200-მდე ჰიტლერელი. სხვა უბანზე გერმანელთა მზვერავმა რაზმმა სცადა საბჭოთა ნაწილების განლაგებაში შემოჭრილიყო. ჩვენმა მებრძოლებმა თოფ-ტყვიამფრქვევის და ნაღმსატყორცნის ცეცხლით 50 ჰიტლერელი დახოცეს. დანარჩენებმა სასწრაფოდ დაიხიეს უკან.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი არტილერიისა და სნაიპერების ცეცხლით გაჟლეტილია 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, აფეთქებულია სომარი მასალების საწყობი და დანგრეულია 29 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. ერთ უბანზე 6 ნაწილის მზვერავთა ჯგუფი სანგრებში შეეჭრა მტერს. ხანმოკლე შეტაკებაში მზვერავებმა დახოცეს 30 გერმანელი ჯარისკაცი და 2 ოფიცერი. ჩვენი მებრძოლები უდანაკარგოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში და თან მოიტანეს იარაღი და დოკუმენტები.

* * *

ორიოლის ოლქში მოქმედმა ოთხმა პარტიზანულმა რაზმმა გაერთიანებული ძალებით რამდენიმე საბრძოლო ოპერაცია მოაწყო. პარტიზანებმა დაანგრიეს რკინიგზის სადგური და ასაქცევი. დანგრეულია სალიანდაგო მეურნეობა, დაიწვა სასამსახურო შენობები, აფეთქებულია 2 საწყობი სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად და საწვავის საწყობი.

ორიოლელ პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის სამხედრო ეშელონი.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანელთა 285-ე ქვეითი დივიზიის ეფრეიტორმა გეორგ კ-მა განაცხადა: „სოფელ ნიკოლსკოეში გერმანელი კომენდანტის განკარგულებით სკოლასთან სახრჩობელა გააკეთეს. სოფელში ჩემი ყოფნის დროს იქ ჩამოახრჩეს ორი ქალი და ერთი მამაკაცი. კომენდანტმა სიკვდილით დასჯის ადგილას მოუყარა თავი ყველა მცხოვრებთ და სთქვა: „დღეს ჩვენ სამ რუსს ვახრჩობთ იმისათვის, რომ იმათ თავიანთ ბოსტნებში მოწეული რამდენიმე ტომარა კარტოფილი დამალეს და არ ჩააბარეს გერმანელთა არმიას. თუ ეს განმეორდა, ჩვენ კიდევ ბევრ სახრჩობელას გავაკეთებთ". ღამე გლეხებმა ცეცხლი წაუკიდეს კომენდატურის შენობას და გერმანელი კომენდანტი მოჰკლეს. სოფლის მრავალი მცხოვრები ტყეებში გაიქცა ოჯახებიანად".

## 10 ნოემბრის საღამოს ცნობა

10 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან სტალინგრადის რაიონში, ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით და ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა გემებმა ბალტიის ზღვაში ჩასძირეს მტრის ტრანსპორტი 10 ათასი ტონა წყალწყვისა.

* * *

სტალინგრადის რაიონში, ქალაქის საქარხნო ნაწილში, მტრის მცირე ჯგუფები ცდილობდნენ ჩვენს თავდაცვაში შემოჭრას, მაგრამ უკუქცეულ იქნენ პირვანდელ ზღუდეებზე. მოსპობილია 150 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. 6 ნაწილმა ქალაქის სამხრეთ ნაწილში იერიშის შედეგად დაიკავა მტრის რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი. ამ ბრძოლაში გაფანტული და ნაწილობრივ მოსპობილია გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი და დაზიანებულია მტრის ტანკი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 5 ტყვიამფრქვევი, 40 შაშხანა, რამდენიმე ყუთი გრანატი და ვაზნა.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით არტილერიის კანტიკუნტი სროლა იყო. იმ ნაწილის არტილერისტებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. გლებოვი, მოსპეს მტრის 3 ბლინდაჟი, რამდენიმე სატყვიამფრქვევო წერტი და სათვალთვალო პუნქტი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 6 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს ოთხი იერიში მტრის ქვეითი ჯარისა, რომელიც 20 ტანკის დახმარებით მოქმედებდა. ამ ბრძოლაში დაზიანებულია გერმანელთა 6 ტანკი.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით წითელფლოტელებმა კაპიტან სტეპჩენკოს მეთაურობით ერთი გამაგრებული მაღლობი დაიკავეს. ჰიტლერელებმა უკან დაიხიეს, ამასთან ბრძოლის ველზე დასტოვეს 200 გვამი, 4 ტყვიამფრქვევი, 15 ავტომატი, დიდძალი შაშხანა და სომარი მასალა. წითელფლოტელმა ამხ. შუმკიმ ამ ბრძოლაში ხელთ იგდო მტრის ტყვიამფრქვევი და 30 ჰიტლერელი დახოცა. ათეულის მეთაურმა ამხ. გულკომ გაჟლიტა 25 გერმანელი, ხოლო წითელფლოტელმა ამხ. რიბალკომ—10.

* * *

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით არტილერისტებმა გვარდიის მაიორ ამხ. მატუშენკოს მეთაურობით ორი დღის საბრძოლო მოქმედების დროს მოსპეს გერმანელთა 16 ავტომანქანა სომარ მასალიანად და სურსათიანად და ჩააჩუმეს მტრის 5 ბატარეა.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა სნაიპერებმა ორი დღის განმავლობაში 465 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. არტილერიისა და ნაღმსატყორცნის ცეცხლით დანგრეულია მტრის 22 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 16 ბლინდაჟი და მიწური, მოსპობილია 2 ტყვიამფრქვევი და აფეთქებულია საწყობი სომარ მასალიანად.

სამი დღის განმავლობაში ლენინგრადის მისადგომებზე ჩამოგდებულია გერმანელთა 22 თვითმფრინავი.

* * *

პოლესიეს ოლქის სამი პარტიზანული რაზმი ერთობლივი ძალებით თავს დაესხა გერმანელთა სამხედრო ეშელონს. პარტიზანებმა მატარებელი გააჩერეს და სროლა აუტეხეს. გაჩაღებული შეტაკების დროს პარტიზანებმა დახოცეს 150 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მათ შორის 75 „ს-ს"-ელი.

მინსკის ოლქში მოქმედ პარტიზანთა ჯგუფმა დასწვა 2 ხიდი გზატკეცილზე და მოსპო სატელეფონო კავშირი ორ ქალაქს შუა.

* * *

რუმინელთა პირველი ქვეითი დივიზიის 93-ე პოლკის მე-6 ასეულის ტყვედ წამოყვანილმა უნტერ-ოფიცერმა ტეოდორ შუტიამ განაცხადა: „ამას წინათ რუმინეთის მე-5 ეგერთა პოლკის ჯარისკაცთა ჯგუფმა უარი სთქვა იერიშზე წასულიყო. გერმანელთა ნაწილებმა განაიარაღეს პოლკი და უახლოეს ზურგში წაიყვანეს. გერმანელთა სარდლობის ბრძანებით 47 რუმინელი ჯარისკაცი დახვრიტეს".

* * *

ბერძენი პარტიზანები თავს დაესხნენ გერმანელთა აეროდრომს ხარაკასის რაიონში, კუნძულ კრეტაზე. პატრიოტებმა ააფეთქეს გერმანელთა 3 თვითმფრინავი, დასწვეს ბენზინის საწყობი და გაჟლიტეს 37 ჰიტლერელი.

# სამამულო ომის ფრონტებზე

## სტალინგრადელები ამ დღეებში

**მოქმედი არმია,** 10 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). როგორც კი მზე ჩავა, სტალინგრადი ბინდში გაეხვევა, ვოლგა გაცოცხლდება. სწრაფად მუშაობენ ადამიანები გადასასვლელებზე.

აი, გადასასვლელს მოადგა 6 გვარდიული ნაწილის ქვეგანაყოფი. მაშინვე იწყება ჩატვირთვა-დატვირთვა. სადღაც მახლობლად სკდება ყუმბარები, ბომბები, ბორანი მარჯვენა ნაპირს მიადგება. გვარდიელები ჩუმად ჩამოდიან სტალინგრადის გადათხრილ მიწაზე.

მოვიდა ბრძანება—იერიშზე გადადით. ქარხნების რაიონში გვარდიელები ნაბიჯ-ნაბიჯ ავიწროვებენ ფაშისტებს. ბრძოლა ხელჩართულ შეტაკებათა ხასიათს იღებს. დიდ ქვიტკირის სახლში და ორ პატარა სახლში გამაგრებული ფაშისტები სარდაფებიდან ძლიერ სროლას აწარმოებდნენ. ვერც ტყვია და ვერც გრანატი ვერ წვდებოდა მათ. მაშინ წინა სათვალთვალო პუნქტიდან ქვემეხთა ჯგუფელებს ზუსტი ცნობები გადასცეს და ზარბაზნები ამეტყველდნენ. გვარდიელები განსაკუთრებით მარჯვედ უშენდნენ ცეცხლს. 130 ბეტონმტვრეველი ყუმბარიდან 85 პირდაპირ მოხვდა მიზანს. ბეტონმტვრეველი ყუმბარა ანგრევს სქელ კედლებს და სკდება ისე, რომ შიგნით ცოცხლად არავის სტოვებს. დანგრეულია რკინაბეტონის სარდაფი. სახლები ფაშისტებისათვის სამარედ გადაიქცნენ.

ამასწინათ სტალინგრადის სამხრეთ სექტორში უმაგალითო ძალის ბრძოლები ხდებოდა. გერმანელები გაშმაგებით ცდილობდნენ, რათა შეეჩერებინათ საბჭოთა მეომრების შეტევა. ცეცხლისა და ლითონის კედელი გზას უღობავდა ჩვენს ტანკებსა და ქვეითს ჯარს. მაგრამ აი გაისმა ფრონტის არტილერიის ყუმბარების აფეთქება. ჰაერში აიტყორცნა მიწის ბელტები, ავურები და ხეები. ძელმიწური საცეცხლე წერტები ნაფოტებად და მტვრად იქცეოდა.

დღის დამლევისათვის გერმანელები აღარ იყვნენ ამ უბანზე. მათ უკან არ დაუხევიათ, რადგან აღარავინ დარჩენილა, ვისაც უკან დახევა შეეძლო. არტილერისტებმა უკლებლივ ყველა ჰიტლერელი მოსპეს.

სულ სამი კვირაა, რაც გვარდიის 6 საარტილერიო პოლკი სტალინგრადისათვის ბრძოლაში მონაწილეობს. ამ ხნის განმავლობაში მისმა ბატარეებმა გაჰფანტეს და გაჟლიტეს მტრის რამდენიმე ქვეითი პოლკი, ჩააჩუმეს მტრის 24 საარტილერიო და 3 ნაღმსატყორცნი ბატარეა, დასწვეს რამდენიმე ავტოკოლონა. სტალინგრადი გახდა ომის სამჭედლო, რომლის ცეცხლშიც იჭედება საბჭოთა მეომრების სიმტკიცე, მამაცობა და საბრძოლო ოსტატობა.

**ნ. მარკოვსკი**

## სტალინგრადის რაიონში

**მოქმედი არმია,** 10 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის რაიონში მცირე ჯგუფების საბრძოლო მოქმედება სწარმოებდა. ქალაქის სამხრეთ ნაწილში ჩვენმა მებრძოლებმა მტრის რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი დაიკავეს.

წინა დღეებთან შედარებით მტრის ავიაციამ ქალაქის რაიონში რამდენადმე შეამცირა თავისი აქტივობა. გერმანელთა თვითმფრინავების მხოლოდ მცირე ჯგუფები ცდილობდნენ დაებომბათ ჩვენი ჯარების საბრძოლო წყობილებანი.

ამ უკანასკნელ დღეებში სტალინგრადის რაიონში მკვეთრად აცივდა. მოვიდა პირველი თოვლი. გაიყინა პატარა ტბები. ჰქრის სუსხიანი ქარი. მტრის განლაგებაში ნამყოფი ჩვენი მზვერავები ამბობენ, რომ გერმანელი ჯარისკაცები ისე ეხვევიან ტანსაცმელში, როგორც შარშან მოსკოვთან ეხვეოდნენ.

**ნ. მარკოვსკი**

## ფაშისტი მფრინავის შეპყრობა

**მოქმედი არმია,** 10 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ბომბდამშენმა „იუნკერს-88", რომელსაც გერმანელი მფრინავი მართავდა, 3.000 მეტრ სიმაღლეზე გადასერა ფრონტის ხაზი. უფრო გვიან იგი ჩვენმა მეზენიტეებმა დააზიანეს, ცეცხლწაკიდებული თვითმფრინავი დაინახეს საბჭოთა პილოტებმა კუბარევმა და ედოვინმა, რომელნიც თავიანთი „უ-2"-ით ცარიელ მოედანზე იყვნენ. მალე თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტა ფაშისტი მფრინავი, ქარმა იგი გაიტანა შორს, ტყის მიღმა. მაშინ კუბარევი და ედოვინი თავიანთი მანქანით მაღლა ავიდნენ. ჰიტლერელი ტყის პირას დაეშვა. იგი გაქცევას აპირებდა, მაგრამ სტრომებში გაიხლართა. ამ დროს იქვე ახლოს დაეშვა „უ-2". საბჭოთა მფრინავები კაბინებიდან გამოცვივდნენ. ფაშისტი მფრინავი ტყვედ იქნა წამოყვანილი.

**გ. აფრინი**

## ოკუპირებულ სოფლებში

**მოქმედი არმია,** 10 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ლენინგრადის ოლქის ოკუპირებული სოფლების მცხოვრებლები, რომელთაც თავი დააღწიეს ფაშისტების ტყვეობას, მოგვითხრობენ საშინელი სიკვდილით დასჯისა და წამების შესახებ, რასაც გერმანელები უდანაშაულო რუსი ადამიანების წინააღმდეგ მიმართავენ. კოლმეურნე პეტრე რუმიანცევი გვიამბობს: „სერედკინის რაიონის სოფელ პაპკოვ სტანში ამას წინათ ასეთი საშინელი შემთხვევა მოხდა. მოვიდნენ გერმანელები და მამასახლისი იკითხეს; მამასახლისი არ იყო. აბა პოლიციელი მოგვიყვანეთო. არც ის აღმოჩნდა. გერმანელებმა დაიწყეს მათი ძებნა, მაგრამ ვერ იპოვნეს. დაიკარგნენ მამასახლისიცა და პოლიციელიც.

მაშინ ჰიტლერელებმა სოფლის მოედანზე მირეკეს ყველა მამაკაცი, ქალი და ბავშვი. გერმანელმა ოფიცერმა უბრძანა ოთხ მამაკაცსა და ექვს ქალს თავმოყრილ ხალხს გამოჰყოფოდნენ. ორ მათგანს ხელში ძუძუთა ბავშვი ჰყავდა.

— მე ათ რუსს დავხვრეტ იმისათვის, რომ ჩვენი მამასახლისი დაიკარგა,—განაცხადა ოფიცერმა.

ჩვენ გავშეშდით. ბანდიტებმა ბავშვები გამოსტაცეს ხელში უბედურ დედებს, მიწაზე დაანარცხეს და, თანასოფლელთა თვალწინ ავტომატით დახვრიტეს ხალხიდან გამოყვანილი ათი კაცი.

სხვა სოფელ მიტინა გორაში ღამე გამოურკვეველი მიზეზით ცეცხლი გაუჩნდა გერმანელების შეშის საწყობს.

გერმანელებმა ცეცხლი წაუკიდეს შეშის საწყობის დარაჯის პეტრე მაშირინის ქოხს და ამ კოცონში ჩაყარეს მისი ცოლი და ორი პატარა ბავშვი".

## ოკუპირებულ უკრაინაში

**მოქმედი არმია,** (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დიდი გაჭირვება განიცადეს შარშან ზამთარში უკრაინის ოკუპირებული ოლქების მცხოვრებლებმა. კიდევ უფრო მძიმე გაჭირვება მოელით მათ ამჟამად. სუმის ოლქის ჩრდილოეთ ტყიან რაიონებში გერმანელებმა ყველა ვარგისი მიწები თავიანთ კუთვნილებად გამოაცხადეს. ადგილობრივ მოსახლეობას სასტიკად აუკრძალეს აგრეთვე კარმიდამოებში ხეების მოჭრა. შარშან ბევრმა უმნიშვნელო მარაგად დარჩენილი ტორფი გამოიყენა. ახლა ტორფი უკვე აღარ არის. შიმშილობა სულ უფრო სასტიკ ხასიათს იღებს. პური და ბოსტნეული არ მოიპოვება. კარტოფილს იშვიათად იშოვნით.

ქალაქ კონოტოპის ერთ-ერთმა მცხოვრებმა, რომელიც ფრონტის ხაზზე გამოვიდა, გვიამბო: „მე უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილი შემოვვლე. ვიყავი სუმში, ნეჟინში, პრილუკში. გამოვიარე ხარკოვის ოლქის მთელი რიგი რაიონები. გზაში ყველგან ვხვდებოდი უამრავ დასიებულ ბავშვსა და ქალს. ნეჟინის რაიონის სოფელ კრუტსა და კვგარლიკში გლეხებს დიდი ხანია მოჰყავდათ თავიანთ მასივებში ხახვი. მოსავალი გერმანიაში მიაქვთ. თესლიც კი არ დარჩენილა. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ამჟამად ამ ადგილებში შეუძლებელია იშოვნოთ არათუ ნატეხი პური, არამედ ერთი თავი ხახვიც კი.

სოფლები, რომლებსაც ვადაზე არ შეაქვთ გაწერილი პური, საოკუპაციო ხელისუფალთა ბრძანებით უნდა გადაიწვას.

გზაში ბევრი გადაბუგული სოფელი ვნახე. უსახლკაროდ დარჩენილი გლეხები ახლომახლო სოფლებსა და ქალაქებში დაიქსაქსნენ.

მუშათა დაბებსა და ქალაქებში ცხოვრება განსაკუთრებით აუტანელია.

ხალხი ჩამოკონკილი და ფეხშიშველა დადის. გერმანელთა სარდლობის ბრძანებით მოსახლეობას კვლავ ართმევენ ზედა და ქვედა ტანსაცმელს, ფეხსაცმელს".

**ტრიფონი კოსტენკო**

## ქართველი მებრძოლები დიდ სამამულო ომში

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე ქართველი მეომრები გვიჩვენებენ თავდადებული სიმამაცის, შეუპოვრობისა და სიმტკიცის, გამძლეობისა და გამარჯვების უხვარის ნიმუშებს. დაუნდობლად ჟლეტენ ისინი ჰიტლერელ ავაზაკებს და გმირული ბრძოლის მაგალითებით ამდიდრებენ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ისტორიას.

წითელარმიელი იორამ ილიანეს-ძე შვანგირაძე ამას წინათ სოპკას გუშაგობდა. მტერი შეეცადა ამ სოპკის ხელში ჩაგდებას. მიუხედავად მტრის ჭარბი ძალებისა, ამხ. ი. შვანგირაძე არ შეშინდა. ჩაუსაფრდა და თავისი შაშხანით ზუსტი ცეცხლი გააჩაღა. იგი დაუნდობლად ჟლეტდა მოძალებულ მტერს, ამრიგად მან 8 ფაშისტი მოსპო და ვიდრე მაშველი ძალა მოვიდოდა, მტრის იერიში მოიგერია. ამ ბრძოლაში ამხ. შვანგირაძემ შეუპოვრობა და სიმტკიცე გამოიჩინა და მტრის განზრახვა ჩაშალა, რისთვისაც დაჯილდოებულ იქნა მედლით „მამაცობისათვის". ამხ. ი. შვანგირაძე წყალტუბოს რაიონიდანაა, დაიბადა 1909 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრია.

ცხარე ბრძოლა ახალი მიწყნარებული იყო, როდესაც ზემდეგმა ხარიტონ ლუკას-ძე ჯიბლაძემ გადასცურა მდინარე, შევიდა მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე და მტრის ცეცხლქვეშ წამოიღო ორი თოფი და ერთი ტყვიამფრქვევი. ნადავლი მოიტანა თავის ნაწილში. ასეთი თავდადებული სიმამაცისათვის იგი დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის".

ამხ. ხ. ჯიბლაძე დაიბადა ბათუმში 1915 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრია.

ასეთივე სიმამაცე გვიჩვენა ზემდეგმა ვიქტორ ნესტორის-ძე ნიპორიშვილმა. მტრის ცეცხლქვეშ გადასცურა მდინარე, შევიდა მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, წამოიღო ბრძოლის ველიდან ორი ტყვიამფრქვევი და მოიტანა თავის ნაწილში. ისიც დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის". ამხ. ნიპორიშვილი ჩოხატაურის რაიონიდანაა, დაიბადა 1911 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრია.

წითელარმიელი ამბროსი ავქსენტის-ძე კაპანაძე თავისი შაშხანით დაუნდობლად ჟლეტს მტრის ცოცხალ ძალას. ორი თვის განმავლობაში მან პირადად მოსპო 31 ფაშისტი. იგი კვლავ განაგრძობს ჰიტლერელი არამზადების ჟლეტას. ამხ. ა. კაპანაძე ორჯონიკიძის რაიონიდანაა, დაიბადა 1922 წელს, დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის".

უმცროსი სერჟანტი ნოე გიორგის-ძე ჩიხრაძე მზვერავთა ჯგუფთან ერთად დაზვერვაში წავიდა. იგი გაბედულად მიუახლოვდა 20-40 მეტრის მანძილზე რკინიგზის ხიდს მდინარე ნ-ზე, რომელსაც გერმანელი გუშაგები იცავდნენ, და მოახდინა დაზვერვა. დაზვერვის შედეგები მოახსენა უფროსს, კვლავ გაბრუნდა ხიდისაკენ მტრის განუწყვეტელ ცეცხლქვეშ და იცავდა ამფეთქებელთა რაზმს, რომელიც ხიდს უწყობდა ასაფეთქებელ მასალას. მიუხედავად იმისა, რომ ამხ. ჩიხრაძე დაიჭრა, იგი მტკიცედ განაგრძობდა საბრძოლო დავალების შესრულებას. ამხ. ნ. ჩიხრაძე დაიბადა 1920 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატია.

ერთ-ერთ ბრძოლაში თავი ისახელა მტრის ტექნიკის განადგურებით წითელარმიელმა ვალიკო ისპონის-ძე კურმაშვილმა. იმ ქვეგანაყოფის უბანზე, რომელშიც ამხ. კურმაშვილი იყო, მტრის 8 ტანკი წამოვიდა. ამხ. კურმაშვილმა წინ წაიწია, დაიკავა საცეცხლე წერტი ბუჩქებში და დაუწყო ლოდინი ტანკებს. მასზე მოდიოდა ხუთი ტანკი. მან მოუშვა ტანკები 150-200 მეტრზე და აუტეხა თავისი ტანკსაწინააღმდეგო თოფის სროლა. ბრძოლა 20 წუთს გაგრძელდა. ამხ. კურმაშვილმა თავისი თოფით გაანადგურა მტრის სამი საშუალო ტანკი, დანარჩენი ორი უკუიქცია. ამხ. ვ. კურმაშვილი ბორჯომის რაიონიდანაა, დაიბადა 1923 წელს, კომკავშირელია.

ასე თავდადებულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე ქართველი მეომრები, აღსავსენი ვერაგ მტერზე გამარჯვების ურყევი რწმენით.

**კულაჩკოვი**
**I რანგის ინტენდანტი.**

# უცხოეთის პრესის გამოხმაურება ამხანაგ სტალინის მოხსენებაზე

## ინგლისი

**ლონდონი,** 8 ნოემბერი (საკდესი). ინგლისური პრესა გაცხოველებით უკუეთებს კომენტარს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ამხანაგ სტალინის მოხსენებას მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქალაქ მოსკოვის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომაზე.

გაზეთი „დეილი ექსპრესი" მოწინავე სტატიაში სწერს: „ჩვენ შეგვიძლია ღირსეულად დავაფასოთ სტალინის მხურვალი, ენერგიული სიტყვა, რომელშიც იგი სამართლიანად აქებს თავის თანამემამულეთა უდიდეს ღირსებებს. გერმანიამ იგემა პირველი დარტყმა, წააწყდა რა რუსულ კლდეს. გერმანელთათვის გათავდა იოლი დაპყრობებისა და მოწინააღმდეგეთა დამორჩილების დღეები, რასაც ჰიტლერი ესოდენ დიდი წარმატებით აღწევდა მანამდე, სანამ რუსთა სიმტკიცეს წააწყდებოდა".

გაზეთი „იორკშირ პოსტი" მოწინავეში ხაზგასმით აღნიშნავს: „სტალინის ნათელმა სიტყვამ უნდა გაჰფანტოს შიში მოკავშირე ქვეყნების ხელმძღვანელთა შორის უთანხმოების შესახებ. სავსებით ბუნებრივად და სწორად, ხაზგასმით აღნიშნა რა ევროპაში მეორე ფრონტის მნიშვნელობა რუსეთის გმირულ არმიაზე სასტიკი შეტევის შესამცირებლად და ჰიტლერული სამარი მანქანის განადგურების უზრუნველსაყოფად, სტალინმა უღრესად ენერგიულად დაადასტურა, რომ მან მიაღწია ჩერჩილთან სრულ ურთიერთგაგებას ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთდამოკიდებულების საკითხში. სტალინის აზრით, შეიძლებოდა თავიდან ყოფილიყო აცილებული უმძიმესი დანაკლისი ადამიანებისა და ტერიტორიის მხრივ, რაც რუსეთმა განიცადა, ევროპაში რომ მეორე ფრონტი ყოფილიყო, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პირველ მსოფლიო ომში".

ამხანაგ სტალინის მოხსენებას აგრეთვე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ლონდონელ რადიოკომენტატორთა გამოსვლებში.

## ა. შ. შტატები

**ნიუ-იორკი,** 8 ნოემბერი (საკდესი). ამერიკის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე მსხვილი სათაურებით გამოაქვეყნა ამხანაგ სტალინის მოხსენება, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავისადმი. მოხსენების ნაწილი, რომელიც მეორე ფრონტს ეხება, განსაკუთრებით არის გამოყოფილი. გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" მოხსენება გამოაქვეყნა შემდეგი სათაურით: „სტალინი აცხადებს, რომ მეორე ფრონტი შეიქმნება". გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი" ასეთ სათაურს უკეთებს: „სტალინი აცხადებს, რომ მოკავშირეები მეორე ფრონტს გახსნიან". გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" მოხსენების სრული ტექსტი მოათავსა.

გაზეთები „ნიუ-იორკ ტაიმსი" და „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი" კომენტარს უკეთებენ მოხსენებას და აღნიშნავენ თავიანთ თანხმობას ამხანაგ სტალინის განცხადებასთან იმის შესახებ, რომ მეორე ფრონტი ბოლოსდაბოლოს შეიქმნება, იმიტომ რომ იგი საჭიროა არა მარტო რუსეთისათვის, არამედ ინგლისისთვისაც და ა. შ. შტატებისთვისაც.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი" სწერს, რომ თუმცა მტრის ძალების დაბანდება აფრიკაში იმ 60 დივიზიის მეტად სუსტ სანაცვლოდ გვეჩვენება, რაც წამოყვანილი იქნებოდა საბჭოთა ფრონტიდან ევროპაში დიდი შეტევით, მაგრამ მიუხედავად ამისა, აფრიკის ოპერაციები მთავარი ამოცანის განხორციელების აუცილებელ დასაწყისს წარმოადგენენ.

## თურქეთი

**სტამბოლი,** 8 ნოემბერი (საკდესი). თურქეთის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე მოათავსა ამხანაგ სტალინის მოხსენების შინაარსი. გაზეთების უმეტესობამ მოათავსა აგრეთვე ამხანაგ სტალინის პორტრეტი.

გაზეთმა „ტანმა" მოხსენება მოათავსა სათაურით: „სტალინმა სთქვა, რომ მეორე ფრონტი ადრე თუ გვიან გაიხსნება. საბჭოთა პრემიერის განცხადების მიხედვით, ეს ფრონტი რომ ადრე გახსნილიყო მაშინ ამ ზაფხულზე გერმანელთა არმიები უკვე დამარცხების პირას იქნებოდნენ მისული". გაზეთ „იკდამის" სათაური ამბობს: „სტალინის განცხადება. მეორე ფრონტი რომ გახსნილიყო, ჰიტლერიზმის განადგურება დაიწყებოდა. სტალინმა სთქვა, რომ მეორე ფრონტი უსათუოდ გაიხსნება, და ყოველმხრივ გააშუქა ორივე მხარის სამარი მიზნები".

# დარბაზობა სსრ კავშირის საელჩოებში საზღვარგარეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის გამო

## ამერიკის შეერთებული შტატები

**ვაშინგტონი,** 9 ნოემბერი (საკდესი). სსრ კავშირის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა საელჩომ ვაშინგტონში გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ: ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰელი, საზღვაო მინისტრი ნოქსი, შინაგან საქმეთა მინისტრი იქესი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე უელესი, ამერიკის შეერთებული შტატების არმიისა და ფლოტის, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები.

## ინგლისი

**ლონდონი,** 9 ნოემბერი (საკდესი). 7 ნოემბერს სსრ კავშირის საელჩომ დიდ ბრიტანეთში და მოკავშირე მთავრობებთან გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ ინგლისის მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, აგრეთვე ინგლისისა და მოკავშირე მთავრობათა გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები.

სტუმართა შორის იყვნენ: მინისტრები ეტლი, იდენი, ალექსანდერი, სინკლერი, ბრაუნი, ლეზერსი, ვუდი, ვულტონი და უომერსლი, ლორდთა საბჭოს თავმჯდომარე ანდერსენი, გენერალური პროკურორი ფაიფი, ლორდი ბივერბრუკი, ლოიდ ჯორჯი, ავიაციის მარშლები დუგლასი და პორტალი, გენერალი ალან ბრუკი, გენერალ-ლეიტენანტი ნაი, გენერალი დე გოლი, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, ნორვეგიის, პოლონეთის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მთავრობათა მეთაურები და წარმომადგენლები, პრიტი, პროფესორი ჰაკსლი და სხვები.

## ჩინეთი

**ჩუნცინი,** 9 ნოემბერი (საკდესი). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის გამო სსრ კავშირის საელჩომ ჩუნცინში გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ ჩან კაი-შის წარმომადგენელი გენერალი ხო იაო-ძუნი, საკონტროლო პალატის თავმჯდომარე იუ იუი-ჟენი, საკანონმდებლო პალატის თავმჯდომარე სუნ ფო, იურიდიული პალატის თავმჯდომარე ძიუ ჟენი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი, ვოენსოვეტის ცაკის გენერალური მდივანი, არმიისა და ფლოტის უმაღლესი თანამდებობის პირები, სუნ იატ-სენის ქვრივი—სუნ ძინლინი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ჩინეთის ინტელიგენციის, ჩინეთისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები და სხვები.

## თურქეთი

**ანკარა,** 10 ნოემბერი (საკდესი). 7 ნოემბერს საბჭოთა საელჩოში ანკარაში გაიმართა დარბაზობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის გამო. დარბაზობას დაესწრნენ თურქეთის მთავრობის ყველა წევრი პრემიერ-მინისტრ სარაჯოღლუს მეთაურობით, თურქეთის გენერალური შტაბის წარმომადგენლები, მოკავშირე და მეგობარი ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, თურქეთის მრავალი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, მწერლები, ჟურნალისტები, აგრეთვე უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

# უცხოელ სახელმწიფოთა მოღვაწეების მილოცვები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის გამო

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ი. კალინინის სახელზე მიღებულია შემდეგი მისასალმებელი დეპეშები:

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ-ნ ისმეთ ინენიუსაგან, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ დოქტორ ედუარდ ბენეშისაგან, იუგოსლავიის მეფე პეტრე II-საგან, ნორვეგიის მეფე ჰოკონისაგან, ჰოლანდიის დედოფალ ვილჰელმინასაგან, კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ-ნ ბატისტასაგან.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინის სახელზე მიღებულია მისასალმებელი დეპეშები:

მებრძოლი საფრანგეთის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე გენერალ დე გოლისაგან, თურქეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნ სარაჯოღლუსაგან, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრ ბ-ნ სტიმსონისაგან. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირად წარმომადგენელ ბ-ნ ჰარიმანისაგან. ესპანეთის რესპუბლიკის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ნეგრინისაგან.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვის სახელზე მიღებულია მისასალმებელი დეპეშები:

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბატონ ანტონი იდენისაგან, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ ბატონ მოჰამედ საედისაგან. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ბატონ იან მასარიკისაგან, პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ბატონ რაჩინსკისაგან, იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბატონ ნინჩიჩისაგან, თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ბატონ მენემენჯიოღლუსაგან, ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბატონ ტრიუგვე ლისაგან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ მარშალ ჩოიბალსანისაგან. ტუვის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრ ჩ. ჰპასაგან. (საკდესი).

## მიტინგები ინგლისში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავის აღსანიშნავად

**ლონდონი,** 10 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის მთელ რიგ ქალაქებში შესდგა მიტინგები ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავის აღსანიშნავად. ბლეიდონში (დურჰემის საგრაფო) შემდგარ მასობრივ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა მაღაროელთა ფედერაციის თავმჯდომარე ლოუტერმა. „საბჭოთა რუსეთის არსებობის მთელი 25 წლის განმავლობაში,—სთქვა მან,—ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა მის საუცხოო თვისებათა ასეთი ღრმა გაგება და მაღალი შეფასება ინგლისში, როგორც ამჟამად. სადაც უნდა წავიდეთ, ვისაც უნდა ესაუბროთ, ყველგან გავიგონებთ ერთ აზრს: დღეს ჩვენ ვარსებობთ იმიტომ, რომ საბჭოთა რუსეთი არსებობს".

ხალხმრავალი მიტინგები შესდგა ბირმინჰამში, კოვენტრიში, მანჩესტერში და სხვა ქალაქებში.

## დარბაზობა საბჭოთა მისიაში სტოკჰოლმში

**სტოკჰოლმი,** 10 ნოემბერი (საკდესი). საბჭოთა მისიამ სტოკჰოლმში გამართა დარბაზობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის გამო. დარბაზობას დაესწრნენ შვეციის მთელი რიგი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, მოკავშირე და მეგობარ სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლები, შვეციისა და უცხოეთის ჟურნალისტები.

## „სტალინგრადის კვირეული" ტრენტონში

**ნიუ-იორკი,** 8 ნოემბერი (საკდესი). ნიუ-ჯერსის შტატის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის—ტრენტონის მერმა ჰარტმანმა გამოაცხადა, რომ 8 ნოემბრიდან ქალაქში მოეწყობა „სტალინგრადის კვირეული".

საბჭოთა საელჩოს ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციებისაგან მოსდის მისალმებანი სტალინგრადის მამაცი დამცველებისადმი.

# მაროკო, ალჟირი, ტუნისი

7 და 8 ნოემბერს ამერიკის ჯარები გენერალ-ლეიტენანტ ეიზენჰაუერის ხელმძღვანელობით გადასხდნენ ჩრდილო აფრიკის რამდენიმე პუნქტში (ორანი, ალჟირი, ფორტ ლიოტე-პორტუზი და სხვ.). ოპერაციებში მონაწილეობას იღებენ ამერიკის სახმელეთო ჯარები, ავიაცია და საზღვაო ფლოტი. ამერიკის ჯარებმა უკვე დაიკავეს ორანი, საფი, ალჟირი, მედია და კასაბლანკა.

**მაროკო** მდებარეობს აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და იყოფა ორ ნაწილად: ესპანეთის მაროკო (ფართობი 21.000 კვ. კილომეტრი) და საფრანგეთის მაროკო. საფრანგეთის მაროკოს ფართობი 431.000 კვ. კილომეტრია, მოსახლეობა—5,6 მილიონი. იგი წარმოადგენს საფრანგეთის პროტექტორატს. მთავარი ქალაქებია ნავსადგური რაბატი, კასაბლანკა, მარაკეში, მეკნესი, საფი, მაგადორი და სხვ.

მაროკო ძირითადად აგრარულ-კოლონიური ქვეყანაა. მოსახლეობის მთავარი საქმიანობაა სოფლის მეურნეობა, კერძოდ, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეფრინველეობა და მეთევზეობა. მთავარი კულტურებია ხორბალი, ქერი და სიმინდი. დიდი მნიშვნელობა აქვს ხეხილის ბაღებს. წიაღისეული სიმდიდრეები არ მუშავდება. აღმოჩენილია ანტრაციტის და მარგანეცის მდიდარი საბადოები, აგრეთვე ნავთი, კობალტი, მოლიბდენი და სხვ. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ფოსფატების დამუშავებას. ფოსფატების მოპოვება წლიურად აღწევს 8.000 ტონას.

**ალჟირი** (არაბულად ელ-ჯასაირი) საფრანგეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კოლონიაა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მაროკოსა და ტუნისს შორის. ალჟირის ფართობი უდრის 575.400 კვ. კილომეტრს, მოსახლეობა—6,5 მილიონს. ძირითად მოსახლეობას შეადგენენ არაბები, ბერბერები. ადმინისტრაციული ცენტრია ალჟირი (257.000 მცხოვრები). დიდი ქალაქებიდან აღსანიშნავია ორანი (164.000 მცხოვრებით), კონსტანტინა და ბონი.

მოსახლეობის მთავარი საქმიანობაა მიწათმოქმედება, მებაღეობა და მევენახეობა. ალჟირის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს დიდი ხვედრითი წონა აქვს მეტროპოლიის მომარაგებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სურნელოვან მცენარეულობას, რომელსაც ალჟირის ექსპორტში დიდი ადგილი უჭირავს.

დამუშავებითი მრეწველობა თითქმის არ არსებობს. ალჟირის ნედლეულის მდიდარი რესურსები მთლიანად მეტროპოლიაში იგზავნება. ისევე როგორც მაროკოში, ალჟირში ფოსფატის დამუშავებას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. ალჟირის წიაღი მდიდარია რკინის, თუთიის, მარილის, ნავთის და სხვა ქვანახშირის საბადოებით.

**ტუნისი** საფრანგეთის პროტექტორატად იმყოფება 1881 წლიდან. ფაქტიურად წარმოადგენს კოლონიას, მდებარეობს ალჟირსა და იტალიის კოლონია ლიბიას შორის. ფართობი—125.000 კვ. კილომეტრი. მოსახლეობა (2,6 მილიონი) ძირითადად შესდგება არაბებისა და ბერბერებისაგან. უმნიშვნელო რაოდენობით არიან ფრანგები და იტალიელები. მთავარი ქალაქებია: ტუნისი (220.000 მცხოვრებით), სფაქსი, ნავსადგური ბიზერტა და სხვ.

ტუნისის ეკონომიკაში სჭარბობს სოფლის მეურნეობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მებაღეობა და მევენახეობა, რომელთა პროდუქტების ექსპორტირება ხდება ევროპის სახელმწიფოებში. დიდი მნიშვნელობა აქვს ციტრუსებისა და ზეთოვანი ხეების მოშენებას.

ტუნისი მეტად მდიდარია რკინის მადნით, ფერადი ლითონებითა და ფოსფატებით. ამ უკანასკნელის დამუშავებით ტუნისი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას (ა. შ. შტატების შემდეგ).



# ჩერჩილის გამოსვლა

**ლონდონი**, 10 ნოემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩერჩილმა დღეს დილით სიტყვა წარმოსთქვა მენშენ-ჰაუზში ყოველწლიურ დარბაზობაზე ქალაქ ლონდონის ლორდ-მერთან.

ჩერჩილი შეეხო აფრიკაში გაჩაღებულ ოპერაციებს და სთქვა: „ჩვენს წინაშე არის ახალი მოვლენა—შესანიშნავი, უეჭველი გამარჯვება. რომმელის არმია უკუქცეულია და ფრიად მნიშვნელოვან წილად მოსპობილია როგორც მებრძოლი ძალა. ჩვენ ამ ბრძოლას ვეწეოდით ერთი მიზნით—მოგვესპო მტრის შეიარაღებული ძალები ისეთ პუნქტში, სადაც კატასტროფა განსაკუთრებით მძიმე და გამოუსწორებელი შეიძლებოდა ყოფილიყო".

„ეს დასასრული არ არის,—განაცხადა ჩერჩილმა,—ეს დასასრულის დასაწყისიც არ არის, მაგრამ ეს, შეიძლება, დასაწყისის დასასრული იყოს. ამიერიდან ნაცისტები შეხვდებიან იმავე უპირატესობას ჰაერში, რითაც ისინი ასე ხშირად ულმობლად სარგებლობდნენ სხვათა წინააღმდეგ".

„ჩვენ მიერ უკვე მოპოვებულ გამარჯვებას ყველა შანსი აქვს გადამწყვეტი და საბოლოო გახდეს იმ ნაწილში, რომელშიც საქმე ეხება ეგვიპტის დაცვას. მაგრამ ეგვიპტისათვის ბრძოლა, რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს იგი თავისთავად, გახდება იმ ღირსშესანიშნავი წამოწყების პრელუდია, რომელსაც შეერთებული შტატები ახორციელებენ ხმელთა შუა ზღვის დასავლეთ ნაპირზე, წამოწყებისა, რომელშიც ჩვენი არმია, ჩვენი ავიაცია და უწინარეს ყოვლისა ჩვენი ფლოტი მნიშვნელოვან და საპატიო როლს ასრულებენ".

„ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი,—განაგრძო ჩერჩილმა,—ამ მძლავრი წამოწყების ინიციატორია, ხოლო მე მისი აქტიური და მგზნებარე თანაშემწე ვარ. რუზველტმა განაცხადა, და ამას საჯაროდ ადასტურებს ინგლისის მთავრობა, რომ ამერიკა და დიდი ბრიტანეთი მტკიცედ დაიცავენ ესპანეთისა და პორტუგალიის უფლებებსა და ინტერესებს".

ჩერჩილი შეჩერდა საფრანგეთის მდგომარეობაზე, და სთქვა: „ჩვენი ფიქრი მიპყრობილია საფრანგეთისაკენ, რომელიც გერმანელთა ჩექმის ქვეშ გმინავს. მე მზად ვარ ფიცი დავდო, რომ საფრანგეთი აღდგება. მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული საფრანგეთის მომავალში. ჩვენ მხოლოდ ერთი სურვილი გვაქვს, რომ საფრანგეთი იყოს ძლიერი და თავისუფალი მის გარშემო გაერთიანებული იმპერიით, და მისთვის დაბრუნებული ელზასითა და ლორენით".

„ჩვენ განზრახვა გვაქვს,—სთქვა ჩერჩილმა,—შევინარჩუნოთ ჩვენი პოზიციები. მე პრემიერ-მინისტრის პოსტი იმიტომ როდი დავიკავე, რომ თავმჯდომარეობა გავწიო ბრიტანეთის იმპერიის ლიკვიდაციის დროს. მე ვამაყობ იმით, რომ ვარ წევრი ერების ფართო თანამეგობრობისა და ძველი ბრიტანეთის მონარქიის გარშემო გაერთიანებული ქვეყნების თანასაზოგადოებისა, ურომლებოდაც სიმართლიანი საქმე შეიძლება დაღუპულიყო".

„ორივე წამოწყება აფრიკაში,—განაცხადა დასასრულ ჩერჩილმა, — წარმოადგენს ერთი და იმავე სტრატეგიული და პოლიტიკური კონცეპციის შემადგენელ ნაწილს, რომლის განხორციელებაზედაც ჩვენ დიდიხანია უკვე ვმუშაობთ და რომლის წარმატებაშიც ჩვენ ამჟამად ყველა საფუძველი გვაქვს დარწმუნებული ვიყოთ".

# უილკის გამოსვლა

**ნიუ-იორკი**, 9 ნოემბერი (საქდესი). უილკიმ სიტყვა წარმოსთქვა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ინიციატივით გამართულ კრებაზე და განაცხადა: „ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩემი წამოსვლის წინ მაღალი თანამდებობის ოფიციალურ მოღვაწეთაგან ვერ მივიღე რაიმე დადასტურება, რომ ატლანტის ქარტიის გამოყენება შეიძლება მთელი მსოფლიოს მიმართ. ამიტომ მოხარული ვარ, რომ პრეზიდენტმა, კომენტარი რომ გაუკეთა ჩემს ანგარიშს, აშკარად განაცხადა, რომ ქარტიის გამოყენება შეიძლება მთელი მსოფლიოს მიმართ". სხვა პიროვნება, რომელმაც ხელი მოაწერა ქარტიას, სთქვა უილკიმ, სხვანაირად ლაპარაკობდა. უილკი შეეხო ჩერჩილის მიერ ატლანტის ქარტიის ინტერპრეტაციას და მოუწოდა მისი ხასიათის ზუსტი განსაზღვრისაკენ.

შემდეგ უილკიმ განაცხადა, არიან ადამიანები, რომელნიც იმას ემყარებიან, რომ თითქოს ახლანდელი ომი ინგლის-ამერიკის ომი არის, თითქოს მას უნდა ხელმძღვანელობდეს ინგლის-ამერიკის სტრატეგია და თითქოს ომის შემდეგ ჩვენ ისეთ მსოფლიოს შევქმნით, რომელშიც ინგლის-ამერიკის პოლიტიკა გატარდება. არიან ადამიანები, რომელნიც გაკვრით კიდევაც ამბობენ, რომ ჩვენ, რომელთა აზრითაც ომის სტრატეგია, სამხედრო სარდლობის საკითხები, ჩვენი მიზნები ამჟამად და ომის შემდეგ გაერთიანებული ქვეყნების საერთო საქმეს წარმოადგენენ—უნდა ვილაპარაკოთ ფრთხილად იმის შიშით, რომ ამ საკითხთა თავისუფალ განხილვას შეუძლია შეაშფოთოს ინგლისის მოკავშირეები და ზიანი მიაყენოს ჩვენი სამხედრო მიზნებისათვის ბრძოლას. „ინგლისში და ამერიკის შეერთებულ შტატებში,—განაცხადა უილკიმ,—ხალხმა იცის, რომ ახლანდელი ომი საერთოსაქვეყნო ომია და რომ მისი დამთავრების შემდეგ პრობლემები აუცილებლად საერთო-საქვეყნო წესით უნდა გადაწყდეს. ინგლის-ამერიკის ჯგუფის ქვეყნების წინ წამოყენება შეშფოთებას იწვევს იმიტომ, რომ იგი, თუმცა სახეშეცვლილად, წარმოადგენს ძველ იმპერიალისტურ ფილოსოფიას, რასაც უარჰყოფს მთელი მსოფლიოს სამი მეოთხედის მოსახლეობა".

# ამერიკის ჯარების ოპერაციები ჩრდილოეთ აფრიკაში

**ჟენევა**, 10 ნოემბერი (საქდესი). ჰავას-ოფის სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ამერიკის ჯარები გადასხდნენ საფსა, მოგადორსა და აგადირში (მაროკოს სანაპირო, კასაბლანკის სამხრეთით) და ფედალში (კასაბლანკის ჩრდილოეთით).

1.000 კაცისაგან შემდგარმა ამერიკელთა რაზმმა შესძლო გადამსხდარიყო სებუს ჩრდილოეთით (რაბატის ჩრდილოეთით). ორანის გარშემო რკალი ვიწროვდება.

**ლონდონი**, 10 ნოემბერი (საქდესი). ვიშის რადიომ აღიარა, რომ ამერიკის ჯარები, რომლებიც გადასხდნენ ფილიპვილში, ტუნისის საზღვრიდან 100 მილზე, წინ მიიწევენ. ამერიკის ჯარებმა დაიკავეს ნავსადგურები ლიოტე და მეხედია. კასაბლანკის მიდამოებში სწარმოებს ბრძოლები, რომლებშიც მონაწილეობენ ამერიკის სატანკო ნაწილები.

მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის სარდლობის შტაბის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ალჟირში ჩასულმა გენერალმა ჟირომ იკისრა ხელმძღვანელობა ფრანგთა მოძრაობისა, რომლის მიზანია თავიდან იქნას აცილებული ღერძის სახელმწიფოთა აგრესია ჩრდილოეთ აფრიკაში. ის ადგენს საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის არმიას, რომელიც იბრძოლებს გაერთიანებული ერების მხარეზე, რათა განადგურებულ იქნან გერმანია და იტალია და განთავისუფლებულ იქნას საფრანგეთი და მისი იმპერია.

შეერთებული შტატების მთავრობამ იკისრა ვალდებულება, რომ საფრანგეთის ამ ახალ არმიას იარაღითა და საომარი მასალებით მოამარაგებს.

# ამერიკის ჯარები ტუნისში შევიდნენ

**ლონდონი**, 10 ნოემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ამერიკის ჯარები 10 ნოემბერს დილით ტუნისის ტერიტორიაზე შევიდნენ. ისინი სუსტ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ამერიკის ჯარები ბიზერტისა და ქალაქ ტუნისისაკენ მიიწევენ.

# ამერიკის ჯარები ორანში შევიდნენ

**ჟენევა**, 10 ნოემბერი (საქდესი). ჰავას-ოფის სააგენტო იუწყება, რომ 11 საათსა და 45 წუთზე ამერიკელთა ტანკები ორანში შევიდნენ. სადესანტო ძალებმა ოკუპაცია უყვეს სანტა კრუცის მაღლობსა და ფორტს, რომელიც ყურეს დასცქერის.

# ამერიკის ჯარები კასაბლანკაში შევიდნენ

**ჟენევა**, 10 ნოემბერი (საქდესი). ვიშის რადიოსადგურმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ ამერიკის ჯარები კასაბლანკაში შევიდნენ.

# ინგლისის ჯარები ჩრდილოეთ აფრიკაში გადასხდნენ

**ლონდონი**, 10 ნოემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონში ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისის ჯარები ჩრდილოეთ აფრიკაში გადასხდნენ.

# პეტენმა იკისრა ვიშის ჯარების უმაღლესი სარდლობა

**ჟენევა**, 10 ნოემბერი (საქდესი). როგორც ჰავას-ოფის სააგენტო გადმოგვცემს, პეტენმა იკისრა ვიშის მთელი სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ძალების სარდლობა.

# ადმირალი დარლანი და გენერალი ჟიუენი ამერიკელებს დანებდნენ

**ჟენევა**, 10 ნოემბერი (საქდესი). ბერლინში გამოქვეყნდა პარიზიდან მიღებული ცნობა იმის შესახებ, რომ ადმირალი დარლანი, რომელიც აფრიკაში გაემგზავრა, რათა ვიშის ჯარების სარდლობა ეკონა, როგორც ახლა ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკელებს დანებდა. დანებდა აგრეთვე ვიშის ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების მთავარსარდალი გენერალი ჟიუენი.

# რუზველტის მიმართვა ტუნისის ბეისადმი

**ვაშინგტონი**, 10 ნოემბერი (საქდესი). თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ რუზველტმა 7 ნოემბერს ტუნისის ბეის სიდი მოჰამედ ელ-ტაიებს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის შეიარაღებულ ძალებს განზრახვა აქვთ ტუნისზე გავლით აღმოსავლეთისაკენ გაემართონ, და რომ მათ სხვა მიზანი არა აქვთ, თუ არა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ტუნისის საერთო მტრების უსწრაფესი მოსპობა. მიმართვაში გამოთქმულია იმედი, რომ ეს ძალები მიიღებენ უფლებას გაიარონ ტუნისი, რათა „მოსპონ ბოროტების ძალები ჩრდილოეთ აფრიკაში".

# რუზველტის მიმართვა ფრანკოსა და კარმონესადმი

**ვაშინგტონი**, 10 ნოემბერი (საქდესი). თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა რუზველტის მიმართვა გენერალ ფრანკოსადმი. ამ მიმართვაში რუზველტი აცნობებს, რომ ზუსტი ინფორმაციის თანახმად, გერმანია და იტალია აპირებდნენ ამ უახლოეს ხანში მოეხდინათ საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის ოკუპაცია. ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის დაცვის ინტერესებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ხელი შეგვეშალა ღერძის სახელმწიფოებისათვის საფრანგეთის აფრიკის ოკუპაციაში. რუზველტი იმედს გამოსთქვამს, რომ ესპანელი ხალხი ნეიტრალიტეტს დაიცავს და ომს გარეშე დარჩება. „ესპანეთს შეერთებული შტატებისა არ უნდა ეშინოდესო",—ნათქვამია მიმართვაში.

რუზველტმა ანალოგიური მიმართვა გაუგზავნა პორტუგალიის პრეზიდენტ კარმონეს.

# ინგლისელთა შეტევა ეგვიპტეში

**ლონდონი**, 10 ნოემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ჯარები არ ასუსტებენ თავიანთ შეტევას ეგვიპტის ფრონტზე. მთავარი ყურადღება ამჟამად მიპყრობილია ლიბია-ეგვიპტის საზღვრის რაიონისაკენ, სადაც შესაძლოა მოწინააღმდეგე შეეცდება წინააღმდეგობის გაწევას. ინგლისის ავიაცია განუწყვეტლივ ბომბავს მტრის ტრანსპორტის კოლონებს.

ინგლისური გაზეთების კორესპონდენტები გადმოგვცემენ, რომ ინგლისის ავიაგამანადგურებლებსა და ბომბდამშენებს ახლა იერიშები მიაქვთ უკუქცეულ მოწინააღმდეგეზე ახალი აეროდრომებიდან, რომლებიც უწინ იტალია-გერმანიის ძალების ხელში იყო.

8 ნოემბერს ტყვედ წამოყვანილია 3.000 იტალიელი. ღერძის ქვეყნების ათასობით ჯარისკაცები ტყვედ ნებდებიან ინგლისელებთან შეხვედრისას.

ტყვედ წამოყვანილია იტალიელთა დივიზია „ფოლგორეს" სარდალი, გენერალი ფრატინი დივიზია „ბრეშიას" სარდალთან და სხვა იტალიელ ოფიცრებთან ერთად, რომლებიც ფრონტის სამხრეთ სექტორიდან არიან გამოქცეულნი.

# კანადამ და მექსიკამ დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტეს ვიშის მთავრობასთან

**ნიუ-იორკი**, 10 ნოემბერი (საქდესი). კანადისა და მექსიკის მთავრობებმა დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტეს ვიშის მთავრობასთან.

# ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ჰამბურგს

**ლონდონი**, 10 ნოემბერი (საქდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ წუხელ ინგლისის ბომბდამშენთა ძლიერი შენაერთი თავს დაესხა ჩრდილო-დასავლეთ გერმანიის მთელ რიგ პუნქტებს, მათ შორის ჰამბურგს. ბომბდამშენებმა ბომბების დიდი ტვირთი ჩამოაგდეს. ინგლისის 15 თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა.

# ინგლისის ავიაცია თავს დაესხა გერმანიას

**ლონდონი**, 10 ნოემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 9 ნოემბერს ღამით ინგლისის ავიაცია თავს დაესხა გერმანიას.

ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში მოქმედი ინგლისის სამხედრო გემები ხუთი დღის განმავლობაში მტრის წყალქვეშა ნავების იერიშებს იგერიებდნენ. მტრის ორი წყალქვეშა ნავი ჩაძირულია.

# ამერიკელთა ბომბდამშენები თავს დაესხნენ სენ-ნაზერს

**ლონდონი**, 10 ნოემბერი (საქდესი). გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომ ამერიკელთა ბომბდამშენები თავს დაესხნენ სენ-ნაზერის (საფრანგეთის ოკუპირებული ზონა) დოკებს. აღნიშნულია მრავალი მოხვედრა დასახულ ნიშანში.

# გერმანელი ოკუპანტები მიწებიდან ერეკებიან ლიტველ გლეხებს

**სტოკჰოლმი**, 10 ნოემბერი (საკდესი). გერმანელი ფაშისტი ოკუპანტები მიწებიდან ერეკებიან ლიტველ გლეხებს, ართმევენ მათ ქონებასა და საქონელს. ლიტველთა მიწის ნაკვეთებს გერმანელ „კოლონისტებს“ აძლევენ, ხოლო გაძარცვულ ლიტველ გლეხებს გერმანელ დამპყრობთა ყმებად ხდიან. ჰიტლერელი მტარვალების ამ მძარცველურმა პოლიტიკამ სერიოზული მღელვარება გამოიწვია ლიტვაში. „წამქეზებელნი,—შეშფოთებით აღნიშნავს გაზეთი „ვილნაერ ცაიტუნგ“,—ცდილობენ მღელვარება გამოიწვიონ ლიტვის მოსახლეობაში ხმებით, ფურცლებით და სხვადასხვა ჩურჩულით, რაც აფუჭებს გერმანელ და ლიტველ ხალხთა ურთიერთობას“.

„სავსებით გასაგებია,—უტიფრად აცხადებს ჰიტლერული გაზეთი,—რომ გლეხების მეურნეობებს გერმანელთათვის ათავისუფლებენ. ეს მეტად დიდ სიძნელეებს აწყდება. მრავალი ლიტველი, რომელიც გადასახლებულ უნდა იქნას, უარს ამბობს თავისი ნაკვეთიდან წასვლაზე. მაგრამ მუქარით აცხადებს გაზეთი, გერმანელთა ხელისუფლებას ვერაფერი ვერ შეუშლის ხელს, რომ დაისახული გზით იაროს“.

# ჰიტლერელ მონათმფლობელთა ქურდული მაქინაციები

**ჟენევა**, 10 ნოემბერი. (საკდესი). გერმანელი ფაშისტების ოფიციალურმა ორგანომ „ფელკიშერ ბეობახტერმა“ მოათავსა სტატია „ოკუპირებული ოლქების მუშათა ხელფასის გამოყენების წესის შესახებ“. ფაშისტური ფურცელი უაღრესად უტიფრობით ლაპარაკობს იმ მუშების გაქურდვის მეთოდებზე, რომლებიც დროებით ოკუპირებული საბჭოთა რაიონებიდან ძალდატანებით წაიყვანეს გერმანიაში. აღმოსავლეთ ოლქების მუშები,—სწერს ჰიტლერული გაზეთი,—ვალდებული არიან „მოიზოგონ“ თავიანთი ხელფასი. ამისათვის კი მათ „უნდა შეიძინონ სპეციალური საშემნახველო მარკები“. გაზეთი აღნიშნავს, რომ „ამ მარკების შესაფერი თანხა გაიცემა ოკუპირებული ოლქების ფულადი ნიშნებით მუშების დაბრუნებისას ანდა ჩაიწერება მათს საშემნახველო ანგარიშზე. ნათესავებისათვის ფულის გაგზავნა აკრძალულია“.

ამრიგად გერმანულ კატორღაში წაყვანილი მუშები ფაქტიურად არავითარ ხელფასს არ იღებენ, ვინაიდან ის სამათხოვრო კროშები, რაც მათ ნომინალურად ეძლევათ, ისინი იძულებულნი არიან უკან დააბრუნონ, რადგან უხდებათ ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული „საშემნახველო მარკების“ შეძენა.

ჰიტლერული გაზეთი შემდეგ აღნიშნავს, რომ ოკუპირებული რაიონების მუშათა „დანაზოგით“ შესდგება კაპიტალი, რომელსაც გერმანელი ხელისუფალნი შესძლებენ „დაუყოვნებლივ გამოიყენონ ოკუპირებული ოლქების საკოლონიზაციოდ“.

აქცევენ რა ძალით წაყვანილი საბჭოთა მუშების ხელფასს „საშემნახველო მარკებად“, რომლებიც საგადამხდელო საშუალებას არ წარმოადგენენ, გერმანელი მონათმფლობელნი ჰქმნიან „კოლონიზაციის ფონდს“, ე. ი. ოკუპირებული ოლქების გაძარცვის ახალ საშუალებას. ასეთია ჰიტლერელ მძარცველთა ქურდული მაქინაციების აზრი.

# ფრანგი მუშები მტკიცედ ეწინააღმდეგებიან ლავალის მუქარასა და შანტაჟს

**ლონდონი**, 9 ნოემბერი (საკდესი). როგორც ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, მებრძოლი საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის შრომის საკითხთა დირექტორმა ანრი ოკმა ლონდონში სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი. მან სთქვა, რომ საფრანგეთის მუშებმა უკანასკნელი ოთხნახევარი თვის განმავლობაში დიდ გამარჯვებებს მიაღწიეს. მას შემდეგ, რაც მუქარითა და დაპირებით ლავალმა მოახერხა გერმანიაში გასაგზავნად სულ 17.000 კვალიფიციური მუშის მობილიზება ნავარაუდევი 150.000 მუშის ნაცვლად, ვიშის მთავრობამ შემოიღო კანონი შრომის იძულებითი ბეგარის შესახებ.

13 ოქტომბერს ლიონის ერთ-ერთ ქარხანაში მომუშავე 4.000 მუშათაგან 700-მა კაცმა მიიღო ბრძანება გერმანიაში გამგზავრების შესახებ. ამათგან 670-მა უარი სთქვა და ყველა მუშამ მათთან სოლიდარობის ნიშნად მუშაობა შესწყვიტა. გამოწვეულ იქნა ჟანდარმერია, რის შემდეგაც გაფიცვა დაუყოვნებლივ მოედო სხვა საწარმოებსაც. ვიშის მთავრობა და გერმანელები საყოველთაო გაფიცვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ სცადეს დაეშინებინათ მუშები, რისთვისაც მათს ხელმძღვანელებს სამხედრო სასამართლოთი დაემუქრნენ. მაგრამ არავითარმა მუქარამ არ გასჭრა. მუშებმა მტკიცედ გადასწყვიტეს არ დაეშვათ მათ წინააღმდეგ ძალადობის გამოყენება. მოლაპარაკება სამ დღეს გაგრძელდა. 16 ოქტომბერს, მხედ[illegible]ლობაში მიიღეს რა საფრანგეთის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის სრული შეჩერების შესაძლებლობა, გერმანელებმა ვიშის მთავრობას უბრძანეს დაეთმო.

# სიმონ ჩიქოვანის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“

„ფედერაციამ“ გამოსცა პოეტ სიმონ ჩიქოვანის პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. პოემა შესდგება სიუჟეტურად შეკრული ლექსებისაგან: „უკრაინელი პოეტებისადმი“, „გურამიშვილის სურათზე“, „ორმოში“, „დავით გურამიშვილი წვიმაში“, „დავით გურამიშვილის აუგი უფლისადმი“, „მეორე აუგი“, „კალოს ხილვა“, „კალოზე მისვლა“, „პირველი ძმობილი“, „ის გამღერებდა“, „პერანგის ნაწილი“, „გურამიშვილის გოდება ვახტანგის გარდაცვალების გამო“, „დავით გურამიშვილის ჰმუნვარება, ქართლის ჭირი“, „დაბინავება უკრაინაში“, „გუგულები“, „დაბურული ბაღი“, „სამფერიანი ხმა“, „დავით გურამიშვილის მიერ კილოს და ხმის ძიება“, „მეწისქვილე“, „ცხოვრება წისქვილში“, „საბა, კრემლი და გორის ციხე“, „ბოხების სარწყავი“, „სატრფიალო“, „იქვი და გალობა“, „დავით გურამიშვილის ვაჟაასება სიკვდილთან“, „უცნაური სურვილი“, „ცოცხალი მკლავი“, „დავით გურამიშვილის გაბაასება საწუთროსთან“, „სამშობლოში დაბრუნება“. „უკანასკნელი დღე“. „მინაწერი“.

„სიმღერა დავით გურამიშვილზე“ შეიცავს 78 გვერდს და ღირს 7 მან. 30 კაპ.

# პავლე სიმონოვის „ზღვის არწივები“

სახელგამმა გამოსცა ორდენოსან პავლე სიმონოვის „ზღვის არწივები“. ავტორი მხატვრულად აგვიწერს საზღვაო მფრინავების მამაცობას და უშიშრობას გერმანელი ფაშისტი არამზადების წინააღმდეგ ბრძოლაში. ფართოდ არის აღწერილი კაპიტან ალექსანდრე ჩურწუმიას და მისი ნაწილის მფრინავთა გმირული ბრძოლები. წიგნში შეტანილია მხატვრული ნარკვევები: „საბრძოლო გაფრენები“, „შესანიშნავი შემთხვევა“, „საჰაერო დაზვერვა“, „ოთხი დღე“, „მარინა ლახნო“, „მეგობრობა“.

„ზღვის არწივები“ ქართულად თარგმნა პოლიო აბრამიამ. წიგნის რედაქტორია ლ. კალანდაძე. „ზღვის არწივები“ შეიცავს 49 გვერდს და ღირს 1 მ. 30 კაპ.

# შუქშენილბვის წესების დარღვევისათვის

ქალაქ თბილისის მილიციის ორგანოებმა შუქშენილბვის წესების დარღვევისათვის დააჯარიმეს თბილისის მცხოვრები გიგო ზაქარიას-ძე მელანიშვილი 3.000 მანეთით, ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე გოცირიძე, მარიამ მელქოს-ასული არუთინოვა და მარგარიტა ნიკოლოზის-ასული ხაიმანდრიანი—ათას-ათასი მანეთით. გარდა ამისა, შუქშენილბვის წესების დარღვევისათვის ექვსი თვის პატიმრობა მიესაჯათ დინა ანდრიას-ასულ ნიკიფოროვას და ანასტასია ივანეს-ასულ სტეპანოვას.

ამ დღეებში მილიციის ორგანოებმა პასუხისგებაში მისცეს ტრანსპორტზე შუქშენილბვის წესების დამრღვევნი. შოფერ სტეფანე ილიას-ძე პრაშკოს მიესაჯა სამი თვის პატიმრობა, ხოლო შოფრები შალვა იოსების-ძე მარტოლეკი, რაულ გერმანის-ძე ცირეკიძე, ბაგრატ ტარამის-ძე ალადაშვილი, პავლე მიხეილის-ძე გლოტოვი და გურჯაანის მტს-ის შოფერი დავით ილიას-ძე შიოშვილი დაჯარიმებული არიან ათას-ათასი მანეთით.

## სასამართლო

# სპეკულაცია პურისა და სასურსათო ბარათებით

თბილისის ლითონკონსტრუქციის ქარხნის კომენდანტი კონსტანტინე რაჟდენის-ძე ონანოვი სარგებლობდა თავისი თანამდებობით, ყალბი გზით გამოჰქონდა ზედმეტი სასურსათო წიგნაკები და ითვისებდა მათ.

ძიებით დადასტურდა, რომ ონანოვმა სექტემბერსა და ოქტომბერში ზედმეტად გამოიტანა 55 პურისა და 41 სასურსათო წიგნაკი. ონანოვი დააპატიმრეს და სამართალში მისცეს.

საქმე გაარჩია სტალინის სახელობის რაიონის პირველი უბნის სახ. სასამართლომ ა. შ. კოკილაშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ ა. კ. ცხადაძის მონაწილეობით. დადასტურდა, რომ ონანოვი ზედმეტად აღებული წიგნაკებით გამოტანილ პურს სპეკულანტურ ფასებში ყიდდა.

ონანოვს სასამართლომ მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჩამორთვა საარჩევნო ხმის უფლება 3 წლის ვადით.

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის** რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2846799, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის მიერ დავით ერმილეს-ძე მესხის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას** რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1523003, გაცემული ვლადიმერ ივანეს-ძე ცაგურიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის** რაიკომი აცხადებს, რომ საქ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 2166496, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მიერ მარიამ იასონის-ასულ ბასოშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

## კინოებში

რუსთაველის სახ. — „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან“, ოქტომბერი—„საბრძოლო კინოკრებული № 12“, დამკვრელი—„ახალ ცხოვრებისაკენ“, კომკავშირელი—„რუსლან და ლიუდმილა“, სპარტაკი—„კორზინკინას თავგადასავალი“, ლუქსემბურგის სახ.—„ვოლგა-ვოლგა“. **26 კომ. სახ.**—„აიგიულ“, კომინტერნი — „საბრძოლო კინოკრებული № 11“.

## მუსიკალური ათწლედის კონცერტი თავდაცვის ფონდისათვის

**კვირას, 15 ნოემბერს,** სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში შესდგება მუსიკალური ათწლედის მოსწავლეთა კონცერტი, რომლის მთელი შემოსავალი გადაირიცხება თავდაცვის ფონდში.

კონცერტის დასაწყისი სრულ 11 საათზე.

## თეატრებში

**12 ნოემბერს:** სახოპერა — „მეფის საცოლე“. რუსთაველის სახელობის — „კიკვიძე“. მარჯანიშვილის სახელობის — „მეფე ერეკლე“. გრიბოედოვის სახელობის—„ფელდმარშალი კუტუზოვი“. სომხური თეატრი — „გეორგ მარზპეტუნი“. ახუნდოვის სახელობის — „მაშდი იბად“. მუსიკალური კომედიის — „საქორწინო მოგზაურობა“. მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „შურისძიება“ მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი — „მშვენიერი ვასილისა და ივანუშკა“. მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი— „ბედნიერება“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**

**საქართველოს სასწავლო კომბინატი აწარმოებს**
**მოანგარიშეებისა და ბუხჰალტრების მომზადება-გადამზადებას.**
განცხადებების მიღება გრძელდება. ცნობები მიიღება ქ. თბილისი, საქ. სასწავლო კომბინატის კანცელარიაში (ძერჟინსკის ქ. № 22) დილის 9-დან დღის 5½ საათამდე, ტელეფონი 3—31—01 და თბილისის ფილიალის კანცელარიაში (პარიზის კომუნის ქ. № 10, მე-60 სკოლა, ტელ. № 3—33—67.
287

თბილისის კიროვის სახელობის რაიაღმასკომის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ანდრო ლომთათიძის ძმის
**თომა გრიგოლის-ძე ლომთათიძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 11/XI, 5 ს. შრომის ქ. № 40, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.
1437

№ ჰოსპიტლის თანამშრომლები იუწყებიან აკაკი ლომთათიძის ძმის
**თომა გრიგოლის-ძე ლომთათიძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 11/XI, 5 ს. შრომის ქ. № 40, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.
1436

თბილისის სამალარიო დისპანსერის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ დიმიტრი ჩხოლარიას მამის
**ალექსანდრე ჩხოლარიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ქალ. ზუგდიდში.
1438

ქალაქის გამწვანების ტრესტის დილმის საბაზისო სანერგის და დამხმარე მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება კოლია ლომთათიძის ძმის
**თომა გრიგოლის-ძე ლომთათიძე**
გარდაცვალებას. გამოსვენება 11/XI, 5 ს. შრომის ქ. № 40, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.
1439

ლ. პ. ბერიას სახელობას პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 28.
უე 11035